პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

საამოცდამის 37-ე წელი
№ 102 (10799)

სამშაბათი, 30 აპრილი, 1957 წ.

ფასი 20 კაპ.

ბერეზნიკის ვოროშილოვის სახელობის აზოტოვანი სასუქების ქარხანა

ქარხნის დირექტორს ამხ. კ. მ. სარიჩევს

ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანს ამხ. ა. ვ. მლადენცევს

პროფკავშირთა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ს. მ. ზემსკის

ქარხნის საკავშირო ალკკ კომიტეტის მდივანს ამხ. შ. ა. ზარუბინს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ულოცავენ ბერეზნიკის აზოტოვანი სასუქების ქარხნის მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს ქარხნის ამუშავების 25 წლისთავთან დაკავშირებით.

ბერეზნიკის აზოტოვანი სასუქების ქარხანამ, რომელიც აშენებულია პირველი ხუთწლედის წლებში, თავისი არსებობის განმავლობაში დიდი წარმატებანი მოიპოვა და გაიზარდა ჩვენი ქვეყნის უდიდეს ქიმიურ საწარმოდ, რომელიც მინერალური სასუქებით უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობას და დიდ როლს ასრულებს სამამულო აზოტის მრეწველობის განვითარების საქმეში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო რწმენას გამოთქვამენ, რომ ბერეზნიკის აზოტოვანი სასუქების ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და სამსახურეების კოლექტივი კვლავაც წარმატებით შეასრულებს მათთვის დაკისრებულ პასუხსაგებ ამოცანებს მრეწველობის [illegible] ტებით და სოფლის მეურნეობის მინერალური სასუქებით უზრუნველყოფაში, სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლის მიღწევისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი
ნ. ხრუშჩოვი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ნ. ბულგანინი.

ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის

ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტია, რომლის მთელი მოღვაწეობა განუყოფელია საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოებისაგან და რომელსაც არა ერთ ქვეყანაში შეიძლება ჰქონდეს სხვა ინტერესები, გარდა ხალხის ინტერესებისა, მუდამ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა და უთმობს მოსახლეობის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების საქმეს.

პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის დაუცხრომელი ზრუნვა ხალხის კეთილდღეობისა და კეთილდღეობისათვის გამოსახულებას პოულობს პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ყოველ დოკუმენტში, დადგენილებასა და დადგენილებაში. მიმართავს რა მშრომელებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტი თავის საპირველმაისო მოწოდებაში მოუწოდებს მათ:

— საბჭოთა მშენებლებო! აამაღლეთ ახალი სამრეწველო საწარმოების, საცხოვრებელი სახლების, საავადმყოფოების, სკოლებისა და სხვა კულტურული დაწესებულებების მშენებლობის ტემპები და ხარისხი!

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში და პარტიისა და მთავრობის ამასწინანდელ დადგენილებაში ხელის მოწერით გავრცელებული სახელმწიფო სესხების შესახებ აღნიშნულია, რომ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ახალ ფორმებზე გადასვლა, აგრეთვე ძველი სესხების განაღდების გადადება, მიზნად იმასაც ისახავს, რომ უკეთესად და უფრო სწრაფად ვაშენოთ საცხოვრებელი სახლები, სკოლები, საბავშვო ბაღები, უხვად ვაწარმოოთ კვების პროდუქტები, ფეხსაცმელი, ტანსაცმელი, ყოფაცხოვრებო საგნები.

ასეთი მშობლიური მზრუნველობით აღფრთოვანებული ჩვენი ხალხი მთელი თავისი კოლექტიური გამოცდილებით ეხმარება პარტიას და მთავრობას სოციალისტური წყობილების უდიდეს საქმეთა აღსრულებათა უფრო სრულად გამოყენებაში, სახალხო მეურნეობის სწრაფი განვითარების მიღწევაში.

აშკარაა, ახლა ჩვენს რესპუბლიკაში ისეთი დიდი სამრეწველო საწარმო, სადაც მუშები საკუთარი ძალებით არ აგებდნენ საცხოვრებელ სახლებს, სადაც მათ ამ საქმეში დახმარებას არ უწევდნენ საწარმოს ხელმძღვანელები. საკუთარი ძალებით საბინაო მშენებლობის წარმოების საქმემ დიდი პოპულარობა მოიპოვა მთელ საბჭოთა კავშირში. საყოველთაოდ ცნობილია გორკელი ავტომობილმშენებლების, მოსკოველი, ლენინგრადელი, ჩელიაბინსკელი მუშების ინიციატივა საკუთარი ძალებით საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში. ფართოდ არის აგრეთვე ცნობილი თბილისის კიროვის სახელობის ქარხმშენებელი ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების წამოწყება საკუთარი შრომითი მონაწილეობით ოთხი დიდი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაგებად.

თბილისელი ჩარხმშენებლების ამ წამოწყებამ, რაც თავის დროზე აღნიშნული იყო პრესაში, ფართო გამოხმაურება გამოიწვია რესპუბლიკაში. მათი მაგალითისამებრ შეუდგნენ საკუთარი ძალებით საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დასაწყებად მზადებას თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის მთელ რიგ საწარმოთა კოლექტივები. მაგრამ, მიუხედავად მას შემდეგ განვლილი საგრძნობი დროისა, ბევრი საწარმოს კოლექტივი ვერ დაიკვეხნის საბინაო მშენებლობაში მიღწეულ წარმატებას.

ეს იმის შედეგია, რომ საწარმოთა ხელმძღვანელებმა მალე დაივიწყეს მათივე საწარმოს იმ მუშებისათვის, რომლებმაც საკუთარი ძალებით საცხოვრებელი სახლების აგება ითავეს, მიცემული დაპირება, რომ ყველა შესაძლებელ დახმარებას გაუწევდნენ. ვერ შეუსრულა დაპირება მუშა-მშენებლებს ზოგმა იმ სამშენებლო ორგანიზაციამ, რომლებსაც მინდობილი აქვთ მუშათა საბინაო მშენებლობის ხელმძღვანელობა.

16 თებერვალს თბილისში, გუდამაყრისა და ჩარგლის ქუჩების კუთხეში, საგულდაგულოდ გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე ჩარხმშენებლები საკუთარი ძალებით შეუდგნენ პირველი 32-ბინიანი სახლის მშენებლობას. დასაწყისში, სანამ მიწისა და ბეტონის სამუშაოების შესრულება მიმდინარეობდა, საქმე კარგად მიდიოდა. საწარმოში მუშაობის დამთავრებისთანავე მუშები დიდი ენთუზიაზმით გამოდიოდნენ სამშენებლო მოედანზე, მაგრამ როგორც კი ჯერი საცხოვრებელ სართულთა კედლების აყვანაზე მიდგა, თავი იჩინა მოიჯარე სამშენებლო ორგანიზაციის — მეტალურგმშენის ტრესტის ქალაქმშენის სამმართველოს (უფროსი ამხ. გ. ჩიკვაიძე) მხრივ ამ სახლის მშენებლობით დაუინტერესებლობამ, საშენი მასალების სიმცირემ და თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ხელმძღვანელების (დირექტორი ამხ. ნ. კიზიკაძე) მხრივ მშენებლობისადმი გულგრილობამ. ყოველივე ამის გამო ჩარხმშენებელთათვის საკუთარი ძალებით საბინაო მშენებლობის საქმე ჩაშლის საფრთხის წინაშე დადგა.

ბევრ საწარმოში მუშათა საბინაო მშენებლობას აფერხებს ადგილობრივი სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების მხრივ გულგრილობა, არაგულისხმიერება, მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმის მნიშვნელობის შეუფასებლობა, რასაც ბოლო უნდა მოეღოს. შეუწყნარებელია, როცა საბინაო მშენებლობაში ჩაბმულ მუშებს საწარმოთა ხელმძღვანელები საკუთარი ძალების ანაბარა სტოვებენ, არ უწევენ მათ დახმარებას მთელი თავისი შესაძლებლობით, რესურსებით, ხოლო ადგილობრივი პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები ამას ურიგდებიან. თბილისის საელმავლო დეპოს მუშათა დიდი ჯგუფი ამას წინათ თბილისში კოლექტივიზაციის ქუჩაზე შეუდგა საკუთარი ძალებით სამსართულიანი საცხოვრებელი სახლის აგებას. მაგრამ მშენებლობა ფერხდება იმის გამო, რომ შემოაკლდათ ხე-ტყე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებში ასახულია პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვა ხალხის მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, მასების საყოფაცხოვრებო პირობების გადაჭრით გაუმჯობესებისათვის. სამეურნეო, პარტიული, პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანაა ყოველდღიური დახმარება და მზრუნველობა გაუწიონ მუშებს, ინჟინერ-ტექნიკოსებს და მოსამსახურეებს, რომლებიც საკუთარი ძალებით ეწევიან საბინაო მშენებლობას.

ჩერკასკის ოლქი

ნ. ს. ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს სოციალისტური შრომის გმირს

გალინა ევგენის ასულ გურკაცკაიას

კოლმეურნეობა „ზღობუჭოკ ქოვეზნიას" თავმჯდომარეს სოციალისტური შრომის გმირს

თევდორე ივანეს-ძე დუგკოვეცკის

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით მხურვალედ ვულოცავ და მივესალმები თქვენი კოლმეურნეობების გამგეობებს, პარტიულ ორგანიზაციებს, ყველა კოლმეურნეს, მექანიზატორსა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტს იმასთან დაკავშირებით, რომ, ჩაებით რა სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელიც დაიწყო რუსეთის სფსრ და მოლდავეთის მოწინავეთა თაოსნობით, იკისრეთ დიდი ვალდებულებანი მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში.

გისურვებთ წარმატებით შეგესრულებინოთ თქვენი კოლმეურნეობების მიერ ნაკისრი ვალდებულებანი და ამით ღირსეული წვლილი შეგეტანოთ ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის ბრძოლის საყოველთაო-სახალხო საქმეში.

რწმენას გამოვთქვამთ, რომ თქვენი კოლმეურნეობები მიაღწევენ თავიანთი საზოგადოებრივი მეურნეობის უფრო მეტ აღმავლობას, კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი
ნ. ხრუშჩოვი.

1957 წლის 27 აპრილი.

პარტიის ვინიცის საოლქო კომიტეტის მდივანს
ამხ. პ. პ. კოზირს

ვინიცის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარეს
ამხ. მ. ს. სლობოდიანიუკს

სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოს უფროსს ამხ. ე. ნ. ბირიუკოვს

პარტიის ვინიცის რაიკომის მდივანს
ამხ. ი. ა. ბონდარჩუკს

რაიაღმასკომის თავმჯდომარეს
ამხ. ნ. ვ. ვოღინკინს

პარტიის ჯულინკის რაიკომის მდივანს
ამხ. ვ. ზ. კაჩურს

რაიაღმასკომის თავმჯდომარეს
ამხ. კ. კ. შრამკოს

პარტიის ჩერნევცის რაიკომის მდივანს
ამხ. გ. ვ. ფერეხას

რაიაღმასკომის თავმჯდომარეს
ამხ. თ. ი. ციკციურას

პარტიის კრიჟოპოლის რაიკომის მდივანს
ამხ. ვ. ს. ბოიჩუკს

რაიაღმასკომის თავმჯდომარეს
ამხ. ვ. ა. სეარდიუკს

ვინიცის ოლქის მტს-ების დირექტორებს, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს, ყველა კოლმეურნეს, მტს-ების მუშაკებსა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს

ძვირფასო ამხანაგებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით მხურვალედ მოგილოცავთ და მოგესალმებით იმასთან დაკავშირებით, რომ, ჩაებით რა სოციალისტურ შეჯიბრებაში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრი გადიდებისათვის, 1957 წელს იკისრეთ დიდი ვალდებულებანი ხორცისა და რძის წარმოების დარგში.

ვინიცის ოლქის კოლმეურნეებმა უკრაინის სსრ ოლქებში პირველმა გამოიჩინეთ ძვირფასი თაოსნობა, იკისრეთ რა ვალდებულება მთლიანად ოლქის კოლმეურნეობებში 1957 წელს 100 ჰექტარ მიწაზე აწარმოოთ 45 ცენტნერი ხორცი, 100 ჰექტარ სახნავზე — 23 ცენტნერი ღორის ხორცი და 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მიიღოთ 177 ცენტნერი რძე. მტკიცე რწმენას გამოვთქვამთ, რომ ამ თაოსნობას ფართოდ დაუჭერენ მხარს სხვა ოლქებში.

თქვენ მიერ მოპოვებული წარმატებანი და ახლა ნაკისრი ვალდებულებანი მოწმობენ, რომ ვინიცის ოლქის კოლმეურნეებს კარგად ესმით ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის უსწრაფესად მიღწევისათვის ბრძოლის მთელი მნიშვნელობა და უნარიანად გამოიყენებენ ყველა შესაძლებლობას ამ დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო ამოცანის შესრულებისათვის.

გისურვებთ წარმატებით შეგესრულებინოთ ნაკისრი ვალდებულებანი და ამით თქვენი ღირსეული წვლილი შეგეტანოთ საბჭოთა სამშობლოს შემდგომი განმტკიცებისა და აყვავებისათვის ჩვენი ხალხის ბრძოლის საერთო საქმეში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი
ნ. ხრუშჩოვი.

1957 წლის 27 აპრილი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საბჭოთა კავშირში მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის განვითარების, საბჭოთა სპორტსმენების ოსტატობის გაუმჯობესების საქმეში მიღწეული წარმატებებისა და საერთაშორისო შეჯიბრებებში წარმატებითი გამოსვლებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა სპორტსმენების, მწვრთნელების, სასწავლებელთა ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებისა და ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუშაკთა ჯგუფი. სულ დაჯილდოებულია 967 კაცი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატები ვ. მ. აბალაკოვი, ლ. ვ. ალექსეევა, ვ. მ. ბობროვი, ა. ი. ბოგდანოვი, ა. ნ. ვორობიოვი, ო. გ. გონჩარენკო, მ. გ. ისაკოვა, ლ. ვ. კოზირევა, ო. მ. ქორქია, ი. ი. კოტკასი, მ. პ. კრივოროსოვი, ვ. ს. კუზინი, ვ. პ. კუცი, ლ. ს. ლატინინა, ვ. ი. მურატოვი, ი. ა. ნეტო, ვ. გ. ჩუდინა, ვ. ი. ჩუკარინი, გ. ი. შატკოვი, ა. ს. შოციკასი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელები ვ. ი. ალექსეევი, კ. კ. კუდრიავცევი, საერთაშორისო გროსმაისტერები სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატები მ. მ. ბოტვინიკი, ვ. ვ. სმისლოვი, სტალინის სახელობის ლენინის ორდენოსანი ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ცენტრალური ინსტიტუტის კათედრის გამგე პროფესორი მ. ფ. ივანიცკი, ფიზიკური კულტურის ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ნ. გ. ოზოლინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ნ. რომანოვი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებული არიან სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელები კ. ი. ალიოშინა, ი. კ. ანდრეევი, ი. ი. ანიკანოვი, ბ. ნ. ასტაფიევი, კ. ვ. გრადოპოლოვი, ლ. მ. ეგოროვი, ა. ა. კარპოვი, ა. ზ. კატულინი, გ. დ. კაჩალინი, ი. გ. კუცენკო, დ. პ. მარკოვი, ვ. პ. მიხაილოვი, ა. ს. მიშაკოვი, გ. ი. ნიკიფოროვი, ვ. ა. ოსკოლკოვი, პ. ა. პაზომოვი, ა. მ. პოკროვსკი, პ. ა. რომანოვსკი, ვ. ა. სერებრიაკოვი, ზ. პ. სინიცკი, ვ. ი. სოკოლოვი, ს. ს. სპანდარიანი, ა. ვ. ტარასოვი, ა. ი. ჩერნიშევი, ა. ი. ჩინილინა, ე. მ. შუკევიჩი, მ. ი. იაკუშინი, ა. ვ. აალტირიანი, ლენინის სახელობის წითელდროშოვანი ფიზიკური კულტურისა და სპორტის სამხედრო ინსტიტუტის კათედრის უფროსი ნ. ვ. ზიმკინი, ბელორუსიის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის დირექტორი ნ. მ. კალიუნოვი, ლესგაფტის სახელობის ლენინის ორდენოსანი და წითელი დროშის ორდენოსანი ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის გამგე ი. მ. კორიაკოვსკი, სტალინის სახელობის ლენინის ორდენოსანი ფიზიკური კულტურის ცენტრალური სახელმწიფო ინსტიტუტის დირექტორი გ. ი. კუკუშკინი, საბჭოთა არმიის სახმელეთო ჯარების ფიზიკური მომზადებისა და სპორტის სამმართველოს მთავარი მწვრთნელი ნ. ნ. მირონოვი, ყაზახეთის ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის დირექტორი ხ. მ. მუხამეჯანოვი, სტალინის სახელობის ლენინის ორდენოსანი ფიზიკური კულტურის ცენტრალური სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის გამგე ა. დ. ნოვიკოვი, ლესგაფტის სახელობის ლენინის ორდენოსანი და წითელი დროშის ორდენოსანი ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის დირექტორი დ. პ. პუგაჩოვ-იონოვი, სტალინის სახელობის ლენინის ორდენოსანი ცენტრალური სახელმწიფო ფიზიკური კულტურის კათედრის გამგე პროფესორი ი. მ. სარკიზოვ-სერაზინი, ლვოვის ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის გამგე პ. ტ. სობენკო, კიევის ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის დირექტორი ნ. ა. ტეპერი, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატები ა. ვ. აზარიანი, ს. ლ. აქსელროდი, ვ. ა. ანდრეევი, ე. ო. არისტაკესიანი, ე. მ. ბაბიჩი, ა. ვ. ბაშაკინი, ე. ა. ბელეცკი, ზ. დ. ბოლოტოვა, ვ. ფ. ბორისოვი, ს. მ. ბუტაუტასი, ფ. კ. ვანინი, მ. დ. გვარლიანი, ა. ნ. ღოღობერიძე, მ. კ. გორეოზოვსკაია, ვ. ა. გრანატკინი, ე. რ. ‘გრიშინი, ნ. ტ. დემენტიევი, პ. ი. დენისენკო, ბ. ს. დენისოვი, ვ. ნ. ენგიბარიანი, რ. მ. ეუკოვა, ვ. ი. ზიბინა, ა ვ. იგნატიევი, ვ. დ. კაზანცევი, ნ. ზ. კარაკულოვი, ვ. ა. კარტოზია, საერთაშორისო გროსმაისტერი პ. პ. კერესი, პ. კ. კოლჩინი, ნ. ფ. კომკოვი, ნ. ფ. კოროლოვი, ვ. დ. კუზნეცოვი, კ. კ. კუზმინი, ა. ა. კუპრიანოვი, ა. ბ. მაზური, ვ. პ. მანეევი, ა. ს. მეკოკეშვილი, ლ. კ. მეშკოვი, ა. კ. მიკენასი, ს. ა. მურატოვა, ვ. ვ. ნიკოლაევი, ი. ა. ნოვიკოვი, ბ. ს. პაიკაძე, კ. კ. პეტკიავიჩუსი, მ. პ. პიმენოვი, ნ. ა. პონომარიოვა, ვ. ა. პოროფირიევი, კ. კ. რეკა, ვ. პ. რომანენკო, ზ. გ. რომანოვა, ო. ნ. რუბცოვა, ვ. მ. სელეზერსტოვა, ლ. მ. სელიხოვა, ე. ი. სეჩენოვა, ნ. პ. სიმონიანი, ნ. მ. სოლოგუბოვი, ე. ი. სოპოვი, ვ. ს. სტოგოვი, ს. ს. სტონკუსი, ვ. გ. სუხარევი, ტ. ა. ტიშკევიჩი, ი. ს. ტიუკალოვი, გ. ნ. ურბანოვიჩი, ვ. ვ. უშაკოვი, გ. ი. ფედოტოვი, ი. ა. ფედჩინინი, გ. ა. შაგინიანი, ბ. ა. შახლინი, ბ. ა. შილკოვი, ვ. ი. შჩაგინი, ა. პ. ენგლასი, ბ. პ. იუნკი, ი. ვ. იაუნზემი, ლ. ი. ბაშინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები კ. ა. ანდრიანოვი, ი. ი. ნიკიფოროვი, მ. მ. პესლიაკი, დ. ვ. პოსტნიკოვი, ლატვიის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ი. ა. ბუმანისი, ლიტვის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ა. პ. გუდანოვიჩი, უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე რ. ისმაილოვი, ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ე. ნ. კონოპლინი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე კ. ვ. კრუპინი, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ლ. გ. ნიკონოვი, თურქმენეთის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ლ. მ. სვირიდოვი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ბ. ა. ნაუმოვი, მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ს. ვ. პუშნოვი, საკავშირო პროფსაბჭოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განყოფილების გამგე გ. ი. ელისეევი, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების გამგე ი. ა. ზუბკოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების ფიზიკური კულტურისა და სპორტის სექტორის გამგე ა. ნ. სკვორცოვი, საბჭოთა კავშირის ლენინის ორდენოსანი ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სასპორტო საზოგადოება „სპარტაკის" პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ტ. მიხალჩუკი, სასპორტო საზოგადოება „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ნიკიფოროვ-დენისოვი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ფეხბურთში ნ. გ. ლატიშევი, სსრ კავშირის გროსმაისტერები დ. ი. ბრონშტეინი, ვ. ვ. რაგოზინი, სსრ კავშირის სპორტის ოსტატები ი. პ. გ. დადაშევი, ვ. ა. სავრომოვიჩი და სხვები, სულ 145 კაცი.

„საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოებულია 367, მედლით „შრომითი მამაცობისათვის" — 353, მედლით „შრომითი წარჩინებისათვის" — 75 კაცი.

(საკდესი).

დედაქალაქი დღითიდღე იცვლის სახეს. მისი ზოგიერთი უბანი მაინც საოცრად ხხვაფერდება. ესლენინის მოედანი ახლა უფრო გამშვენიერებულია. დედაქალაქის მშრომელთა საპირველმაისო ზე. აქ დაისვენებენ ადამიანები, ივლიან ჩვილი ბავშვების გაჭთქათებული ეტლები, დედათა დედაქალაქის ცენტრის ეს შესანიშნავი ადგილი. სურათზე: ლენინის მოედანი.

აი, მაგალითად, კალინინის რაიონი. თბილისელებისათვის საყვარელი ცნობილი მოედანი ლენინისა. ეს ოცი დღეა, იგი არ გინახავთ? — ში. რკინიგზის ქალაქის სადგურის წინ მოედანი სრულიად შეცვლილია — ყოფილი ღად უქცევიათ. მარადმწვანე მცენარეების ხეივნებს აგურისფერი ბილიკები ამშვენებენ; ლენინის მოედანი ახლა უფრო გამშვენიერებულია. დედაქალაქის მშრომელთა საპირველმაისო ზე. აქ დაისვენებენ ადამიანები, ივლიან ჩვილი ბავშვების გაჭთქათებული ეტლები, დედათა დედაქალაქის ცენტრის ეს შესანიშნავი ადგილი. სურათზე: ლენინის მოედანი.

ტრიბუნა აღებულია, მოედნის ნაწილი ბაღი გამვლელ-გამომვლელის ყურადღებას იქცევს. საჩუქარია ესეც — ლამაზი სკვერი მოედანი და ჩვილ ბავშვთა საყვარელი ადგილი იქნება

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ოსური და ქართული სასიმღერო და ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების საქმეში დამსახურებისათვის

სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი დაჯილდოებულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ს. როსტიაშვილი.

ქ. თბილისი. 1957 წლის 29 აპრილი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელოვნების მუშაკთათვის საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ოსური და ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარების საქმეში დამსახურებისათვის და ქალაქ თბილისში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადასთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ სახალხო არტისტისა:

გაგლოევას ზინაიდა ალექსანდრეს ასულს — საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს, სტალინირის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

ცხვირიშვილს იოსებ გაბრიელის-ძეს — საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს, სტალინირის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

ჯატიევას სოფიო მიხეილის ასულს — საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს, სტალინირის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა:

პლიევს ვასილ სოსლანის-ძეს — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის დირიჟორს.

სანაკოევს ბორის იოსების-ძეს — მხატვარს, საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილების თავმჯდომარეს.

შატბერაშვილს ლევან ივანეს-ძეს—სტალინირის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის მთავარ რეჟისორს.

ხახანოვს დუდარ სოლომონის-ძეს — კომპოზიტორს, სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელს.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტისა:

ბიტიევს უმარ გაბრიელის-ძეს — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტს.

გაგლოევას მანია თევდორეს ასულს — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტს.

გაგლოევას პარბარე ალექსანდრეს ასულს — სტალინირის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

გაგლოევს ხაზბი თევდორეს-ძეს — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტს.

გელდიევს ანდრია ილიას-ძეს — სტალინირის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

ენალდიევს ვახტანგ დავითის-ძეს — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტს.

მარგიევს გიორგი პეტრეს-ძეს — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტს.

მარგიევს სოსლან გიორგის-ძეს — სტალინირის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

მედოევას ზარეტა სიმონის ასულს—სტალინირის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

პარასტაევს დიმიტრი ვასილის-ძეს—სტალინირის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

პატარიძეს გერონტი მელიტონის-ძეს — სტალინირის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

სარალელს ვლადიმერ დიმიტრის-ძეს — სტალინირის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

ფაუგაზოვს გაბრიელ დანიელას-ძეს — ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ დამსახურებულ არტისტს, სტალინირის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

ჩიბროვს ვლადიმერ სარდიონის-ძეს — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტს.

ჩოჩიევას ნინო ზაქარიას ასულს—სტალინირის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

ხეთაგუროვს ვლადიმერ მიხეილის-ძეს — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტს.

ჯატიევს ვასილ ილიას-ძეს — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ქორეოგრაფს.

ჯიგკაევს აკიმ ეფრემის-ძეს — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ს. როსტიაშვილი.

ქ. თბილისი. 1957 წლის 29 აპრილი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ოსური და ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარების საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის და ქ. თბილისში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადასთან დაკავშირებით დაჯილდოებულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

ამაშუკელი კონსტანტინე დავითის-ძე — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი.

ბახტაძე ნიკოლოზ ვასილის-ძე — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტმეისტერი.

ბეგაევი თევდორე მათეს-ძე — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი.

ბიჭიკაშვილი გრიგოლ იოსების-ძე—სტალინირის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობი.

გაბარაევი ვიქტორ კონსტანტინეს-ძე — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი.

გაბაშვილი თინა გიორგის ასული — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი.

გაგლოევი ვლადიმერ მიხეილის-ძე — მწერალი.

გოგიჩაევი ივანე ვლადიმერის-ძე — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი.

გუხალოვა ზელიხან ალექსანდრეს ასული — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი.

დარბაზაშვილი ივანე სერგის-ძე — სტალინირის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობი.

დოგუზოვი გიორგი ვასილის-ძე — მხატვარი.

ვალიევი ალექსანდრე ქრისტეფორეს-ძე — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობი.

ზაპრუდნაი გალინა ალექსანდრეს ასული — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი.

იარალოვა ეკატერინე ვასილის ასული — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი.

კაბისოვი გრიგოლ არსენის-ძე — სტალინირის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის რეჟისორი.

კაბულოვი გრიგოლ დავითის-ძე — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი.

კალმიკოვა ლილი ივანეს ასული — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი.

კოკოევი გრიგოლ გიორგის-ძე — სტალინირის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობი.

კოკოევი ვასილ ნიკოლოზის-ძე — მხატვარი.

კოკოევი ვარდენ სპირიდონის-ძე — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი.

კოკოევი კონსტანტინე ალექსის-ძე — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი.

კოტაევი პეტრე დავითის-ძე — სტალინირის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის მკერავი.

კოჩიევი ფილუშ ანტონის-ძე — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი.

კოჩიევი სოსლან დიმიტრის-ძე — მხატვარი.

კოხტაშვილი ნენუ დიმიტრის ასული — სტალინირის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობი.

ლოლაძე თინა ალექსანდრეს ასული — სტალინირის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობი.

მაკიევა იულია ალექსის ასული — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ორკესტრანტი.

მეზურნოვი ვაგანშაკ ისაკის-ძე — მხატვარი.

მოლდაროვი გრაფ სიმონის-ძე — სტალინირის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორის მოადგილე.

ნეკერიშვილი პავლე ვლადიმერის-ძე — მხატვარი.

პლიევა რაისა გიორგის ასული — სტალინირის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობი.

ნანეკოევი ხაზბი გიორგის-ძე — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი.

სიუკაევი ოთარ დიმიტრის-ძე — სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტის მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივის ხელმძღვანელი.

ტარალაშვილი ელისაბედ ვასილის ასული — სტალინირის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობი.

ტეხოვი ზაურბეგ ნიკოლოზის-ძე — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი.

ტგიევი ზემირა ექვთიმეს ასული — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი.

ქელეხსაევი ფირუზ ივანეს-ძე — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი.

შავლოხოვი მელსიკ მუხტარის-ძე — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი.

შერაზადიშვილი იასონ ილიას-ძე—სტალინირის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენის უფროსი ბრიგადირი.

ჩიჩიევი კადზასმატ ნიკოლოზის-ძე — სტალინირის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობი.

ცაბოლოვი კონსტანტინე ალექსანდრეს-ძე — ქორეოგრაფი.

ცავკაევი ხუმე ხაკიასის ასული — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის გარმონისტი.

ცხოვრებოვი ზემირა ივანეს ასული — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მოცეკვავე.

ძაგოევი გიორგი რომანის-ძე — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი.

ძუგაევი გიორგი ხასაკის-ძე — მწერალი.

ჯატიევი სოსკო ალექსის-ძე — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ადმინისტრატორი.

ჯიგაევი როსტომ იოსების-ძე — სტალინირის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის სამეზეიმო ნაწილის გამგე.

ჯიგკაევი ივანე გრიგოლის-ძე — სტალინირის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობი.

ჯიოევი ოთარ სერგის-ძე — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი.

ჯიოევი ვალენტინა არტემის ასული — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი.

ჯიოევი მუხტარ ნესტორის-ძე — სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ორკესტრანტი.

ჯუსოევი ნაფი გრიგოლის-ძე — მწერალი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ს. როსტიაშვილი.

ქ. თბილისი 1957 წლის 29 აპრილი.

ცეილონის პარლამენტის დელეგაციის წევრთა ჯგუფი საქართველოში

ცეილონის პარლამენტის დელეგაციის წევრთა ჯგუფი სენატორ კ. ვიჯესინგჰეს მეთაურობით, რომელიც საქართველოში იმყოფება, კვლავ ეკმობოდა რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრებას. 28 აპრილს დილით ცეილონის პარლამენტის დეპუტატები თბილისის ღორსწესნიშნობათა გაცნობის შემდეგ რუსთავში გაემგზავრნენ. ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის დირექტორის ნ. გ. გიმლეურისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ჰ. გ. გილაშვილის თანხლებით მათ დაათვალიერეს საწარმოს საამქროები. დელეგაციის წევრებს ინტერესებდათ წარმოების ორგანიზაცია ქარხანაში, ქარხნის ტექნიკური აღჭურვილობა, პროდუქცია, რომელსაც იგი უშვებს.

სენატორმა გ. გ. პანამბალამმა, წარსულში ცეილონის მრეწველობის მინისტრმა, გაუზიარა რა დამსწრეთ თავისი შთაბეჭდილებანი, აღნიშნა:

— რუსთავის ქარხნის ტექნიკური აღჭურვილობა უკეთესია, ვიდრე იმ მეტალურგიული ქარხნებისა, რომლებიც დასავლეთ გერმანიაში მინახავს. ეს საშუალებას აძლევს მუშებს უფრო ნაყოფიერად იშრომონ. ქალაქ რუსთავზე შეიძლება ითქვას, რომ ეს არის უნიკალური ქალაქი. ასეთი ქალაქი მუშებისათვის მე წინათ არასოდეს არ მინახავს.

დაბრუნდნენ რა თბილისში, ცეილონის პარლამენტის დეპუტატები ეწვივნენ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს. გულთბილი იყო სტუმრების შეხვედრა ბავშვებთან. პიონერებმა უჩვენეს მათ თავიანთი კაბინეტები, წარმატებანი თვითმოქმედ ხელოვნებაში. „ინტერნაციონალური მეგობრობის კაბინეტში“ დელეგატები დაინტერესდნენ, აქვთ თუ არა თბილისელ მოსწავლეებს მიწერ-მოწერა ცეილონელ ბავშვებთან. აღნიშნეს რა, რომ კავშირი აქვთ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ბავშვებთან, პიონერებმა გამოთქვეს სურვილი დამყარონ მეგობრული კავშირი ცეილონელ ბავშვებთანაც. სტუმრებმა თქვეს, რომ სიხარულით დაეხმარებიან მათ ამ საქმეში.

სენატორმა ბ. ი. პალიპეიმმა განაცხადა:

— პიონერთა სასახლე, სადაც ჩვენ ვიყავით, სასწაულთა სამყაროა. სასახლე, რომელიც წინათ თავადს ეკავა, ახლა საქართველოს შვიდი ათას ბავშვს ეკუთვნის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ვ. დ. კუპრაძემ დარბაზობა გამართა სტუმრების პატივსაცემად.

28 აპრილს დღის მეორე ნახევარში დელეგაცია თბილისიდან ბათუმში გაფრინდა.

* * *

ბათუმი, 29 აპრილი. 28 აპრილს აქ ჩამოვიდა ცეილონის პარლამენტის დელეგაციის წევრთა ჯგუფი. აეროდრომზე მათ შეხვდნენ აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გ. მ. მესხიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ლ. მ. დავითაძე, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. გ. ასათიანი, აჭარის ასსრ მინისტრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. პიონერებმა ყვავილების თაიგულები მიართვეს სტუმრებს.

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გ. მ. მესხიძე გულთბილად მიესალმა ცეილონელ პარლამენტარებს. საპასუხო სიტყვაში დელეგაციის მეთაურმა სენატორმა კ. ვიჯესინგჰემ გულითადი მადლობა გამოთქვა მეგობრული მიღებისათვის.

ჩამოსვლის დღეს დელეგაციის წევრები ეცნობოდნენ ბათუმს. ბათუმის თეატრში ისინი დაესწრნენ აჭარის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტს. (საქდესი).

საქართველოს სსრ მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფისათვის

★

რკინიგზელები აყენებენ ახალ საკითხებს

მართვის ფორმების გასაუმჯობესებლად ბევრი რამ არის გასაკეთებელი რკინიგზის ტრანსპორტზეც. მაგალითად, ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილებაში, გარდა იმ ქვედანაყოფებისა, რომლებიც განყოფილების ბალანსზე იმყოფებიან, არსებობს მრავალი სხვა სამეურნეო ორგანიზაცია (სავაგონო უბანი, კავშირგაბმულობის, სალიანდაგო, შენობათა და ნაგებობათა დისტანციები, ენერგომომარაგებისა და სამშენებლო უბნები, სალოკომოტივო და სავაგონო დეპოები), რომლებიც განყოფილებას ემორჩილებიან ოპერატიულად, ხოლო ადმინისტრაციულად და ფინანსურად ექვემდებარებიან რკინიგზის სამმართველოს შესაბამის სამსახურებს. ამით შეზღუდულია განყოფილების უფლებები, ხშირად მას არ შეუძლია უშუალოდ გადაჭრას სადავო საკითხი, რაც იწვევს ზედმეტ და ხანგრძლივ მიწერ-მოწერას, ზოგი საკითხის გადაჭრის გაჭიანურებას.

ამიტომ მიზანშეწონილი იქნება რკინიგზის განყოფილებებს გავუფართოოთ უფლებები, დავუქვემდებაროთ ყველა ადგილობრივი სატრანსპორტო სამეურნეო ერთეულები.

ასევე მიზანშეწონილია სალიანდაგო დისტანციის გამსხვილება. ამჟამად განყოფილებაში ოთხი სალიანდაგო დისტანცია არსებობს. ისინი მომსახურებას უწევენ უბნებს, რომელთა სიგრძე 100 კილომეტრს არ აღემატება. სავსებით შესაძლებელია გავაერთიანოთ ბათუმისა და სამტრედიის, აგრეთვე ქუთაისისა და შორაპნის სალიანდაგო დისტანციები, რაც გადაჭრით გაუმჯობესებს მათს მუშაობას და შეამცირებს ხარჯებს.

საჭიროდ მიგვაჩნია აგრეთვე გარდაიქმნას რკინიგზის ტრანსპორტზე მომუშავე სამშენებლო ორგანიზაციების ახლანდელი სტრუქტურა. მაგალითად, სამტრედიის განყოფილებაში ამჟამად არსებობს ორი სამშენებლო ორგანიზაცია — სამშენებლო უბანი და შენობათა და ნაგებობათა დისტანცია. პირველი მთგანი აწარმოებს კაპიტალურ მშენებლობას, ხოლო მეორე შენობათა მიმდინარე შეკეთებას და შენახვას. სავსებით მიზანშეწონილი და სასარგებლო იქნება მათი ერთ სამშენებლო ორგანიზაციად გაერთიანება.

დ. ბერიძე,
ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების უფროსი.

ჭიათურაში მშენებლობის წარმართვებისათვის

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის სამშენებლო სამმართველო სამუალოდ ყოველწლიურად 180-200 მილიონ მანეთს ითვისებს. ეს თანხა მთლიანად ხმარდება ამ სამთამადნო რაიონში ახალი სამრეწველო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობას. მაგალითად, ამჟამად აქ შენდება საფლოტაციო ფაბრიკა, რომელიც მადნის შლამისაგან გაწმენდს მდინარე ყვირილას და ყოველწლიურად მოგვცემს რამდენიმე ათეულ ათას ტონა პირველი და მეორე ხარისხის მადანს, რაც ახლა წყალს მიაქვს.

იმის გამო, რომ ჭიათურაში გაჩაღებულ მშენებლობას დღემდე სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტრო ხელმძღვანელობდა თავისი მრავალრიცხოვანი სამმართველოების მეშვეობით, ხოლო ეს სამმართველოები შორს იყვნენ ჭიათურიდან, არ იცნობდნენ ადგილობრივ სპეციფიკას, სუსტად ხელმძღვანელობდნენ მშენებლებს, ესენიც ვერ მუშაობდნენ გამართულად. მშენებელი ორგანიზაციების ასეთი გაუმართავი მუშაობის გამო მარტო ბოლო ორი ხუთწლეულის განმავლობაში ჭიათურაში აუშენებელი დარჩა 112 მილიონი მანეთის ობიექტები. ამ თანხით კი შეგვეძლო აგვეშენებინა ერთი ახალი საკმაოდ მძლავრი მაღარო თავისი გამამდიდრებელი ფაბრიკით, აგრეთვე მუშებისათვის აგვეგო 20 ათასი კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობი და რამდენიმე საყოფაცხოვრებო ობიექტი.

იმისათვის, რომ მომავალში თანხების ასეთ აუთვისებლობას ადგილი არ ექნეს, საჭიროა ჭიათურაში მშენებლობის ხელმძღვანელობა დაეკისროს ერთ დიდ სამშენებლო ტრესტს, რომელიც ამასთან მომსახურებას გაუწევს დასავლეთ საქართველოს სამთამადნო რაიონებს, კერძოდ, ქვანახშირის მრეწველობას. ეს ტრესტი, რომელიც უშუალოდ დაემორჩილება სახალხო მეურნეობის საბჭოსთან არსებულ მშენებლობის მთავარ სამმართველოს, უდავოა, უკეთესად უხელმძღვანელებს ჭიათურის სამრეწველო რაიონის შემდგომი განვითარების საქმეს.

ჩემი აზრით, მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ადგილობრივი ორგანოებისათვის გადაცემა უსათუოდ გამოიწვევს საფინანსო ორგანოების როლის ამაღლებას. ამიტომ სასურველია მოხდეს სპეციალური ბანკების გაერთიანება სამრეწველო ბანკის ბაზაზე და გაფართოვდეს სამრეწველო ბანკის საკონტროლო უფლებები.

გ. შანიძე,
მარგანეცის ტრესტის მმართველის მოადგილე მშენებლობის დარგში.

★

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესახებ ახალ ვითარებაში

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მართებულად მოწყობას დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. ვფიქრობ, რომ მეურნეობის არც ერთ დარგში არ მოსდევს უწყებრივ კარჩაკეტილობას ისეთი უარყოფითი შედეგები, როგორც სამეცნიერო-კვლევითს მუშაობაში, ვინაიდან ეს უწყებრივი ზღუდეები მეცნიერ-მკვლევარებს არ აძლევს იმის სრულ საშუალებას, რომ იმუშაონ სახალხო მეურნეობის განვითარების პროცესში წამოჭრილი ამა თუ იმ აქტუალური საკითხის გადაწყვეტაზე, რაც გარკვეულ შეფერხებებს გვიქმნის სამეურნეო მუშაობაში.

საქართველოში, სადაც მრავალი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი მუშაობს, გვაქვს ერთადერთი დიდი დარგობრივი, სამშენებლო-სამრეწველო პროფილის — ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის თბილისის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, რომელიც სსრ კავშირის ელექტროსადგურების სამინისტროს ეკუთვნის. ეს ინსტიტუტი მომსახურებას უწევს ჰიდროელექტროსადგურების დაპროექტებას, მშენებლობასა და ექსპლოატაციას, მაგრამ ამავე დროს ინსტიტუტის მიერ მოპოვებულ მიღწევათა დანერგვას პრაქტიკაში დიდად აფერხებს უწყებრივი კარჩაკეტილობა. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს:

ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის თბილისის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისა და საქართველოს ჰიდროენერგომშენის ტრესტის სპეციალისტებმა (ამხ. სლოვინსკი და ამხ. გინდინი) შექმნეს ჰიდროენერგეტიკული ტექნიკის სიახლე, უნიკალური მანქანა-აგრეგატი, რომლითაც შეიძლება ჰიდროტექნიკური გვირაბების გათხრა და დაბეტონება. ასეთი აგრეგატის შექმნით დაინტერესდა სამი უწყება—სსრ კავშირის ელექტროსადგურების, სსრ კავშირის ელექტროსადგურთა მშენებლობის და სსრ კავშირის მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროები. მაგრამ ამ სამმა უწყებამ ისე ვერ წარმართა მუშაობა, რომ ეს ტექნიკური სიახლე მოკლე დროში განეხორციელებინათ. მანქანა-აგრეგატის პირველი ნიმუშის დამზადება 13 წლის განმავლობაში ძლივს შეძლეს. მხოლოდ ახლახან გახდა შესაძლებელი, რომ ეს მანქანა-აგრეგატი, რომელიც 200 ტონას იწონის, მიეცეს საქართველოს ჰიდროენერგომშენის ტრესტს.

ამავე სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში დამუშავებულ იქნა ელექტროგადამცემი ხაზების საყრდენებად რკინაბეტონის ბოძების დამზადების წესი და ტექნოლოგია ე. წ. ცენტრიფუგირების საშუალებით. ეს მეტად დიდი, საკვლევრო მნიშვნელობის სიახლე იყო და მართლაც ცენტრიფუგირების საშუალებით რკინაბეტონის საყრდენი ბოძების დამზადებამ ფართო გავრცელება ჰპოვა მთელ საბჭოთა კავშირში. ჩვენ აღვძარით საკითხი, რომ აქვე, საქართველოში, აგებული ყოფილიყო ცენტრიფუგირებული რკინაბეტონის საყრდენების მძლავრი ქარხანა, რომელიც ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობაში ლითონის დიდ ეკონომიას მოგვცემდა, მაგრამ სსრ კავშირის ელექტროსადგურების სამინისტრომ მთელი 10 წლის განმავლობაში ვერ შეძლო ამ საკითხის დადებითად გადაჭრა. ასეთი უწყებრივი კარჩაკეტილობის შედეგი ადვილი წარმოსადგენი იქნება, თუ ვიტყვით, რომ სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის სამინისტრომ გროზნოში უკვე მოაწყო ასეთი ქარხანა, ცენტრიფუგირებულ რკინაბეტონის საყრდენებზე დააყენა 4.000 კილომეტრის სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზი, ამით მიიღო 7.000 ტონა ლითონისა და 43 მილიონი მანეთის ეკონომია. არანაკლებ ეკონომიას მივიღებდით საქართველოში, ასეთი ქარხანა რომ გვქონდეს.

შეიძლებოდა მრავალი სხვა მაგალითის მოყვანაც, მაგრამ თვალსაჩინოებისათვის ეს ორიც საკმარისია. ჩემი აზრით, მომავალში მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესაბამისად საჭირო იქნება გარდავქმნათ სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მუშაობაც. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა იმ მდგომარეობაში და ისეთი სტრუქტურით დატოვება, როგორც ახლა მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ახალი სტრუქტურის ვითარებაში არ შეიძლება.

უნდა მოიწყოს სამი სხვადასხვა კატეგორიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები. პირველ კატეგორიაში ჩათვლებიან ისეთი ინსტიტუტები, რომლებსაც უხდებათ საკავშირო მნიშვნელობის პრობლემათა შესწავლაზე მუშაობა. მაგალითად, ჰიდროენერგეტიკის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, რომელიც ლენინგრადშია, სწავლობს დაბლობი რაიონების მდინარეთა ჰიდროენერგეტიკას მთელ საბჭოთა კავშირში. ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის თბილისის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი კი სწავლობს მთიანი რაიონების მდინარეთა ჰიდროენერგეტიკას აგრეთვე მთელ საბჭოთა კავშირში. ეს ინსტიტუტები უნდა დარჩნენ სსრ კავშირის ცენტრალური ორგანოების დაქვემდებარებაში.

მეორე ჯგუფის ანუ კატეგორიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები, რომლებიც მუშაობენ გარკვეული პროფილით, მაგალითად, მეაბრეშუმეობაზე, ჩაის მრეწველობის საკითხებზე და ა. შ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ინსტიტუტების სამუშაო თემატიკა საკავშირო მნიშვნელობისაა, უნდა დავუქვემდებაროთ ადგილობრივი ეკონომიური რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭოს.

მესამე ჯგუფის ანუ კატეგორიის სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებები, რომლებიც ვიწრო დარგობრივი საკითხების გადაწყვეტაზე მუშაობენ (მაგ. შორის საქართველო ლაბორატორიები) უნდა დავუქვემდებაროთ ადგილობრივი სახალხო მეურნეობის საბჭოს შესაფერის დარგობრივ სამმართველოს.

არ მიმაჩნია მართებულად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გაცე-პრეზიდენტის ამხ. გ. ძოწენიძის მიერ პრესაში გამოქვეყნებული შენიშვნა იმის შესახებ, რომ რაკი ჩვენში სამი სხვადასხვა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი (ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის, ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის, აგრეთვე მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტები) მუშაობს, მათ შორის ადგილი ჰქონდეს პარალელიზმს და ღონისძიებათა კოორდინაციის სიძნელეს. მართალია, სამივე ეს ინსტიტუტი წყლის გამოყენების საკითხებზე მუშაობს, მაგრამ მათი თემატიკა ისე განსხვავდება ერთიმეორისაგან, რომ აქ არავითარი მავნე პარალელიზმის ნიშანწყალი არ იგრძნობა. რაც შეეხება კოორდინირებულ მუშაობას, ეს დამოკიდებულია არა ორგანიზაციულ სტრუქტურაზე, არამედ ადამიანებზე.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ახალ ორგანიზაციულ ვითარებაში წინადახედულად, დიდი მოფიქრებით უნდა მოეწყოს.

ლ. გველესიანი,
დოცენტი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის თბილისის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

უწყებრიობის წინააღმდეგ

რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის მუშამოსამსახურენი დიდი ინტერესით გავეცანით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გ. დ. ჯავახიშვილის სტატიას „საქართველოს სსრ მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის“, სადაც ნათქვამია, რომ ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოსთან უნდა შეიქმნას მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის დარგობრივი სამმართველო. ეჭვი არ არის, რომ მართვის ორგანიზაციული ფორმის ამგვარად შეცვლა უზრუნველყოფს ჩვენს ქარხანაში არსებული საწარმოო სიმძლავრეებისა და მატერიალური რესურს



მზესუმზირას ნათესის კულტივაცია წითელწყაროს რაიონის ს. ოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობაში.

★ ★ ★

თესვაში ჩამორჩენა არ აღელვებთ

„კომუნისტის“ რეიდი

წელს სტალინირის რაიონის კოლმეურნეობებში საგაზაფხულო თესვისათვის ხელსაყრელი ამინდები ადრე დადგა. მოწინავე კოლმეურნეობებმა გამოიყენეს ბუნების ეს სიკეთე და მარტის პირველ რიცხვებშივე შეუდგნენ საგაზაფხულო კულტურების თესვას. მთის სოფელ ჭარებში კოლმეურნეთა ენერგიულ შრომას სათავეში ჩაუდგა არტელის გამგეობა (თავმჯდომარე ი. ლაფაჩი). აქ სათეს ფართობებში დიდი რაოდენობით შეიტანეს მინერალური და ორგანული სასუქები და მოკლე დროში დაამთავრეს საგაზაფხულო კულტურების თესვა. მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები ასევე დროულად და მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩაატარეს სოფლების ვანათისა და ოტრევის კოლმეურნეობებში.

მაგრამ ასეთი სასოფლო-სამეურნეო არტელები სტალინირის რაიონში ბევრი როდია. მთელ რიგ კოლმეურნეობებში საგაზაფხულო კულტურების, განსაკუთრებით სიმინდის თესვა შეუწყნარებლად ჩამორჩა. 20 აპრილისათვის რაიონში სიმინდის თესვის დავალება შესრულებული იყო მხოლოდ 42,5 პროცენტით. ამ მხრივ განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა შეიქმნა ქსუისის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში, სადაც ამ დროისათვის გეგმით გათვალისწინებული 1.985 ჰექტარიდან დათესილი იყო 776 ჰექტარი სიმინდი. მტს-ის გვერდით მდებარე სოფელ ქსუისის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობას, რომელმაც 95 ჰექტარი სიმინდი უნდა დათესოს, 20 აპრილისათვის ეს სამუშაო დაწყებული არ ჰქონდა. საკითხავია, რას ფიქრობენ ქსუისში, როცა მაღალმთიანმა სოფელმა ჭარებმა უკვე დაამთავრა სიმინდის თესვა?

სიმინდის თესვა დღემდე არ დაუწყიათ სოფელ სტირქომის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობაში. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ს. ჩოჩიევს სრულებით არ აღელვებს ის მდგომარეობა, რომ მუშა-პირუტყვს კერძო სამუშაოებზე იყენებენ, ხოლო გუთნეულები ცდება. 25 დღის განმავლობაში ხვნაზე გამოყვანილმა 11 გუთნეულმა 30 ჰექტარი მოხნა. სიმინდის სათესლე მასალა კოლმეურნეობამ მხოლოდ 20 აპრილს მოიმარაგა. სტირქომელებს საგაზაფხულო ხორბლის თესვის დავალებაც არ შეუსრულებიათ...

საგაზაფხულო სამუშაოები თვითდინებაზეა მიშვებული სოფელ ორტევის კოლმეურნეობაში. სასოფლო-სამეურნეო არტელის თავმჯდომარე ი. გასიევი ზამთარში დაპირებებს იძლეოდა, რომ საგაზაფხულო სამუშაოებს დროულად და მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩაატარებდა. მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა. 21 აპრილისათვის კოლმეურნეობაში სიმინდის თესვა დაწყებული არ იყო. ან როგორ დაიწყებდნენ, როცა არტელის გამგეობამ სათესლე მასალა მხოლოდ ორი დღის წინ შემოიტანა. ორტევში გუთნები დროულად არ შეაკეთეს, თუმცა არტელს აქვს თავისი სამჭედლო. მუშა-პირუტყვი არადამაკმაყოფილებელ კვების გამო დაჯანდაგებულია. საგაზაფხულო სამუშაოების შესრულების დროს ორტევში აგროტექნიკის მოთხოვნებს არ იცავენ, ნახნავის სიღრმე 5-7 სანტიმეტრს არ აღემატება. გაზაფხულის ხორბალი მხოლოდ 15 ჰექტარზე დათესეს და თესლის უქონლობის გამო ამ სამუშაოს თავი მიანებეს.

სიმინდის თესვის დავალება მხოლოდ 30-40 პროცენტით აქვთ შესრულებული სოფლების არცევის, გრომისა და აჩაბეთის კოლმეურნეობებს. სოფელ დისევის გურამიშვილის სახელობის კოლმეურნეობაში პარტო 5 ჰექტარი სიმინდი დათესეს გეგმით გათვალისწინებული 60 ჰექტარის ნაცვლად, ხოლო გორეთში — 33 ჰექტარიდან 1 ჰექტარი. შეუწყნარებლად ნელი ტემპით თესავენ სიმინდს სოფლების ელტურისა და ბელოთის კოლმეურნეობებში.

ამ ძვირფასი კულტურის თესვაში სამარცხვინოდ ჩამორჩა აგრეთვე სოფელ ხეთაგუროვის კოლმეურნეობა. გეგმით გათვალისწინებული 150 ჰექტარიდან აქ 22 აპრილისათვის დათესილი იყო მხოლოდ 30 ჰექტარი. კოლმეურნეობას მინდვრის სამუშაოების 90 პროცენტს სტალინირის მტს-ი უსრულებს. მაგრამ წელს მტს-ის სატრაქტორო ბრიგადამ, რომელიც კოლმეურნეობას ემსახურება, სამარცხვინოდ გააჭიანურა სამუშაოები. მექანიზატორების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის მთავარი მიზეზია ტრაქტორებისა და მისაბმელი იარაღ-მანქანების უხარისხო რემონტი, რის გამო ტექნიკა ზმირად მწყობრიდან გამოდის. „დტ-54“ მარკის ტრაქტორი, რომელსაც ტრაქტორისტი ი. ხუბაევი მართავს, დღეგამოშვებით მაინც კვლებში დგას. 16-დან 20 აპრილამდე ეს ტრაქტორი მინდვრად იდგა და ერთი ჰექტარიც არ მოუხნავს. ასეთსავე მდგომარეობაშია „ხტზ-7“ მარკის ტრაქტორი, რომელსაც მექანიზატორი ს. ლოხოვი მართავს. 15-დან 18 აპრილამდე ტრაქტორი არ მუშაობდა.

№ 2 სატრაქტორო ბრიგადის „დტ-54“ მარკის ტრაქტორი სოფელ ტბეთის მინდვრებზე ტექნიკური მიზეზებით 10 დღეს იყო გაჩერებული, ხოლო ტრაქტორისტი მტს-იდან ნაწილების მოტანას ელოდა. კიდევ უფრო სუსტად მუშაობს მესამე სატრაქტორო ბრიგადა. ტექნიკის გაცდენის ხშირი შემთხვევებია ქსუისის მტს-შიც. ყველა ამ გარემოების გამო ფერხდება სიმინდის თესვა, განსაკუთრებით თესვის პროგრესული მეთოდების გამოყენება.

თესვის აგროტექნიკური ვადები იწურება. საინტერესოა, რატომ არ აღელვებს სიმინდის თესვაში ასეთი სამარცხვინო ჩამორჩენა პარტიის სტალინირის რაიკომის მდივანს მტს-ის ზონაში ამხ. გ. ბესაევს, რომელიც ხედავს ამ მდგომარეობას და ზომებს არ იღებს.

დრო არ ითმენს. პარტიის სტალინირის რაიკომმა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ სიმინდის თესვაში ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

რეიდის მონაწილენი:

თ. გაგაევი,
პარტიის სტალინირის რაიკომის ინსტრუქტორი,

ო. ესიაშვილი, პ. ხაგალაშვილი,
გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ რედაქციის მუშაკები.

ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

სტუდენტები შრომითს ჩვევებს იღებენ

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ბევრი რამ კეთდება იმისათვის, რომ სწავლასთან ერთად სტუდენტობამ მიიღოს შრომითი ჩვევები. ინსტიტუტის სტუდენტობა აქტიურად მონაწილეობდა ლაჯანურიპესის მშენებლობაზე, ყაზახეთის ყამირ მიწებზე, მახარაძისა და ქობულეთის რაიონების საბჭოთა მეურნეობების ჩაის პლანტაციებში, მონაწილეობდა თბილისის ზღვის მიდამოების კეთილმოწყობაში, „ბურევესტნიკის“ სტადიონის მშენებლობაში და სხვ.

ყაზახეთში მოსავლის აღებაში მონაწილე თვითეულმა სტუდენტმა 150 კილოგრამი ხორბალი და ფულად 900 მანეთი მიიღო. ამ დღეებში ამხ. გუბელაძის ბრიგადის წევრებმა (25 კაცი) ყაზახეთის კოლმეურნეობიდან წლიური ანგარიშს გასწორების შედეგად დამატებით მიიღეს 28 ათასი მანეთი.

ამ შედეგებით ყველა სტუდენტი აღფრთოვანებულია. ინსტიტუტის სტუდენტობამ და პროფესორ-მასწავლებლობამ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის სწავლისა და შრომის ფრონტზე კონკურეტული ვალდებულებანი აიკისრეს, შეჯიბრებაში გამოიწვიეს სხვა ინსტიტუტები. ეს ვალდებულებანი ამ ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში“.

ნაკისრ ვალდებულებათა კონკრეტულად განხორციელებას მიეძღვნა ამას წინათ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სპეციალურად მოწყობილი თათბირი, რომელშიც მოისმინა პროფ. ი. სარიშვილის მოხსენება საწარმოო პრაქტიკაზე მიმავალ სტუდენტთა ამოცანების შესახებ.

როგორც მოახსენებდნენ, ისე კამათში გამოსულმა პროფესორებმა ი. ბათიაშვილმა, ხ. შალამბერიძემ, დოცენტ ი. ჩხარტიშვილმა, კომკავშირის კომიტეტის მდივანმა გ. აზაურაშვილმა, სტუდენტებმა მ. ხაინდრავამ, მ. ცისკარიძემ კონკრეტული წინადადებანი შეიტანეს ნაკისრი ვალდებულებათა დროზე და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

თათბირზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. პ. ვ. კოვანოვმა.

ჩვენი ინსტიტუტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები კონკრეტულად ანაღდებენ ნაკისრი ვალდებულებებს. აღმოსავლეთ საქართველოს 25 მტს-ში პატრიოტულ შრომას ეწევა მექანიზაციის ფაკულტეტის 266 სტუდენტი. ისინი მტს-ებს ეხმარებიან სიმინდის თესლის დაყალიბებაში, კვადრატულ-ბუდობრივი თესვის ორგანიზაციაში და სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების რემონტის საქმეში.

მეგალეობა-მევენახეობის ფაკულტეტის მევენახეობის კათედრის პროფესორმა ვ. ქანთარიამ და სხვა თანამშრომლებმა მცხეთის რაიონის სოფელ წილკნის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობაში მოამზადეს ახალი წესით ძსხვლელი კოლმეურნეები და განახორციელეს მრავალი პროგრესული აგროტექნიკური ღონისძიება. აქ ფართოდ იქნა გამოყენებული სტუდენტთა შრომა.

ამ დღეებში ეკონომიკა-ორგანიზაციის და სხვა ფაკულტეტების სტუდენტებმა მუშაობა დაიწყეს მუხრანის სასწავლო-საცდელ მეურნეობასა და მის ახლო მდებარე კოლმეურნეობებში. ისინი აქტიურად მონაწილეობენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში.

მცენარეთა დაცვის ფაკულტეტის 33 სტუდენტი პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად სოფლის მეურნეობის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ჩატარებაში პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს მახინჯაურის, ჩაქვის, ოჩხამურის, მუკუზნის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს.

ადგილებზე გაგზავნილ სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება, რათა ბეჯითი შრომით ვასახელოთ ჩვენი ინსტიტუტი, ისე როგორც იგი ვასახელეთ კუსტანაის ოლქის ტრამალებზე, და ჩვენი წვლილი შევიტანოთ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარების საქმეში.

ლ. კვირიკაძე,
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკა-ორგანიზაციის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი.

მწყობრში ჩადგა ახალი ჰესი

საბჭოთა აჭარა მდიდარია ჰიდროენერგეტიკული რესურსებით. მარტო აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგური ახლა იმდენ ელექტროენერგიას იძლევა, რამდენსაც იძლეოდა რევოლუციამდელი საქართველოს ყველა ელექტროსადგური ერთად აღებული. აჭარაში მამინ არც ერთი ელექტროსადგური არ იყო. ახლა აქ ცოტაღაა ისეთი სოფელი, სადაც ილიჩის ნათურები არ კაშკაშებდეს.

მეხუთე ხუთწლედში დამთავრდა საზღვრისპირა სოფლების — კირნათის, მარადიდის, სარფის, გონიოს, ახალსოფლის, სიმონეთისა და სხვათა ელექტროფიკაცია და რადიოფიკაცია. ამ სოფლების ცენტრი, კოლმეურნეთა ოჯახები და საკოლმეურნეო ნაგებობები ელნათურებით არის გაჩირაღდნებული.

ბათუმის რაიონის რამდენიმე სოფელი დღემდე დარჩენილი იყო უელექტროენერგიოდ.

რამდენიმე წლის წინათ საფუძველი ჩაეყარა მაჭახელაჰესს. მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობდნენ 14 კოლმეურნეობის მშრომელები. მთავრობის დახმარებით მშენებლებმა მიიღეს საჭირო ტექნიკა, რამაც დააჩქარა მშენებლობა.

მაჭახელაჰესის მშენებლობაზე შექმნილი იყო მშენებლობის საბჭო. სადგურის აგებაზე გამოიჩინეს თავი მშენებლობის საბჭოს თავმჯდომარემ გ. კალანდაძემ, ინჟინრებმა ს. გურგენიძემ, კ. ხორაშვილმა, ე. გლიხიანმა, ს. სანიუკოვმა, ათისთავებმა ვ. შენგელიამ და ი. ინგოროყვამ, ბრიგადირებმა გ. ტონოიანმა და ს. ჰუსეინოვმა, აგრეთვე ვ. ნინიძის, ტ. ციხაძისა და გ. როშოიანის დურგალთა, ა. მანჯგალაძის და ნ. არჯევანიძის მეარმატურეთა, ა. დოლიძისა და ი. შელიახოვის შეგბათქაშეთა ბრიგადებმა, ს. ზაქარიაძემ, დ. ბერიძემ, ო. გვიანიძემ, ბ. ლეონიძემ, მ. ვარშანიძემ და სხვებმა, რომელმაც მშენებელთა და კოლმეურნეთა საერთო პატივისცემა დაიმსახურეს.

დღეს მაჭახელაჰესის მშენებლები, რაიონის ყველა მშრომელებთან ერთად ზეიმობენ საქართველოში ერთ-ერთი მძლავრი საკოლმეურნეობათაშორისო ჰიდროელექტროსადგურის საექსპლოატაციოდ გადაცემას და დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ძეგლის გახსნას, რომელიც მშენებლებს სადგურის მახლობლად მდინარე მაჭახელას თვალწარმტაც ხეობის ერთ-ერთ მაღლობ ადგილზე აღუმართავთ.

სადგურის სიმძლავრე 1.600 კილოვატია. მაჭახელაჰესის აგებით წყდება აჭარის საკოლმეურნეო სოფლების მთლიანი ელექტროფიკაციისა და რადიოფიკაციის ამოცანა. კიდევ ცოტა ხანი და რაიონის ყველა კუთხე, ყველა კოლმეურნის ოჯახი მიიღებს იაფ ელექტროენერგიას. სრული სიმძლავრით ამუშავებისას ელექტროსადგური თავის ჭარბ ენერგიას ბათუმსაც მიაწოდებს.

უსაზღვროა ბათუმის რაიონის მშრომელთა სიხარული. მათ სიხარულს იზიარებენ მთელი აჭარის და მეზობელი რაიონების მშრომელთა წარმომადგენლებიც. ეს სიხარული და ბედნიერება მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ბათუმის რაიონის მშრომელებს ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ მოუტანა, იმ რევოლუციისა, რომლის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად უდიდესი აღფრთოვანებით ემზადება მთელი ჩვენი ქვეყანა.

28 აპრილს მაჭახელაჰესის საექსპლოატაციოდ გადაცემასთან და ვ. ი. ლენინის ძეგლის გახსნასთან დაკავშირებით სოფელ ქელქედში შედგა ხალხმრავალი მიტინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ბათუმის რაიონის მრავალი სოფლის მშრომელებმა. მიტინგი გახსნა ბათუმის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ანანიძემ. სიტყვები წარმოთქვეს პარტიის ბათუმის რაიკომის პირველმა მდივანმა ს. ესაძემ, სოფელ ურეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. სურმანიძემ, კირნათის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა შ. ცინცაძემ, მებეტონეთა ბრიგადირმა გ. ტონიანმა და სხვებმა.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დ. მამულაძემ.

მიტინგზე წაკითხულ იქნა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება ელექტროსადგურისა და ლენინის ძეგლის მშენებლობის მოწინავეების აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით დაჯილდოების შესახებ.

დ. პაიჭაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

აფხაზეთის პროფკავშირების მუშაკები ეცნობიან მოწინავე გამოცდილებას

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ მოაწყო პროფკავშირული მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარება. ოთხი დღის განმავლობაში თბილისისა და რუსთავის პროფკავშირული ორგანიზაციების სამეცნიერო ეცნობოდა აფხაზეთის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების თავმჯდომარეთა, ფაბრიკა-ქარხნების ადგილობრივი კომიტეტების ცალკეული კომისიების წევრთა, პროფჯგუფორგთა და აფხაზეთის პროფსაბჭოს მუშაკთა ჯგუფი.

აფხაზეთის პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაკები და აქტივისტები იყვნენ კიროვის სახელობის ჩარხშენებელ ქარხანაში, ყამოლმაუდისა და სართავ-სტრიკოკოტაეო კომბინატებში, ჩაისსაწონ ფაბრიკასა და თბილისის სხვა საწარმოებში, აგრეთვე ი. ბ. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში. მათ აინტერესებდათ, როგორ ხელმძღვანელობენ პროფკავშირული ორგანიზაციები სოციალისტურ შეჯიბრებას, როგორ აღწევენ მის საჯაროობას, აჯამებენ შედეგებს, როგორ ზრუნავენ წარმოების მუშაკთა შრომის დაცვისათვის, მშრომელთა კულტურული დასვენების ორგანიზაციისათვის.

აფხაზეთის პროფკავშირული მუშაკები ამ საწარმოებში გაეცნენ სასადილოების, საბავშვო ბაღებისა და ბაგების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობას. საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოში გამართულ თათბირზე მათ აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების მოწინავე გამოცდილების გაცნობამ ბევრი რამ სასარგებლო მისცა მათ და რომ მიღებულ გამოცდილებას ისინი გამოიყენებენ თავიანთ მუშაობაში.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. მ. ლელაშვილი. იგი შეეხო რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანებს იმასთან დაკავშირებით, რომ კომუნისტურმა პარტიამ დასახა ღონისძიებანი მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფისათვის.

საქართველოს პროფსაბჭო სახავს პროფკავშირული მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარების შემდგომ გაფართოებას.

თბილისის საწარმოთა და დაწესებულებათა მთელი რიგი პროფკავშირული ორგანიზაციების მიღწევებს გაეცნობიან აგრეთვე აჭარისა და სამხრეთ ოსეთის პროფკავშირთა მუშაკები. (საქდესი).

ბორჯომის კურორტები ახალი სეზონისათვის ემზადებიან

ბორჯომის კურორტების შესანიშნავი ჰავა, სამკურნალო მინერალური წყლები საუკეთესო პირობებს ქმნის დამსვენებელთა მკურნალობისა და გაჯანსაღებისათვის.

კურორტის მშვენებას წარმოადგენს ბორჯომ-ლიკანის სანატორიუმი. მის ორივე კორპუსში წლის ყველა დროში ერთდროულად ისვენებს 600 ადამიანი. მათს გაჯანსაღებას ემსახურება ბევრი კაბინეტ-ლაბორატორია და კვალიფიციურ ექიმთა კადრები.

წელს ბორჯომის სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში 36.000 კაცი იმკურნალეს. გარდა ამისა, ჩამოვა ბევრი არაორგანიზებული დამსვენებელი, მოეწყობა პიონერთა ბანაკები, ჩამოვლენ სბავშვო ბაღები. ეს კი ბორჯომის კურორტთა სამმართველოსა და მისი სარემონტო-სამშენებლო კანტორისაგან სერიოზულ მუშაობას მოითხოვს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მას შემდეგ, რაც საკავშირო პროფსაბჭოს სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გადაეცა, უფრო განმტკიცდა მათი მატერიალური ბაზა და შეიქმნა ფართო შესაძლებლობანი დამსვენებელთა უკეთ მომსახურებისათვის.

ბორჯომის კურორტთა სამმართველომ მიმდინარე წლის საზაფხულო სეზონისათვის მზადება შარშანდელთან შედარებით უფრო ადრე და ორგანიზებულად დაიწყო. წელს კურორტთა სამმართველო სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, სამკურნალო ობიექტების, კვების ბლოკების, ბაღ-პარკების რემონტზე, კეთილმოწყობასა და გამწვანებაზე 3.300 ათას მანეთს დახარჯავს.

მიმდინარე წელს იხსნება მუდმივმოქმედი პანსიონატი სასტუმრო „ბორჯომში“. ამ მიზნით დიდი სამუშაოები წარმოებს სასტუმროს მოსამზადებლად. მაღალხარისხოვნად შესრულდა ზედა სართულების რემონტი და კეთილმოწყობა. პირველი სართულის იატაკზე დაიგო მარმარილო. ეწყობა არქიტექტურულად გაფორმებული ფოიე, ამასთან სასტუმროსათვის შეძენილია 200 ათასი მანეთის რბილი და მაგარი ინვენტარი.

საკურორტო სეზონი 20 მაისს გაიხსნება სანატორიუმ „ფირუზას“ მეორე კორპუსში. ორივე კორპუსის რემონტსა და კეთილმოწყობაზე გათვალისწინებულია 120 ათასი მანეთი. პირველ კორპუსში გაიხსნება სასადილო. გადაკეთდება მეორე კორპუსის ფლიგელი, ამის შედეგად კორპუსს ვვიდი ოთახი შეემატება. სამუშაოები სწრაფად მიმდინარეობს.

ახალი სეზონისათვის კარგად ემზადებიან პლატოს და წალვერის დასასვენებელი სახლები და სანატორიუმები: „მთის ხეობა“, „მზიური“ (ცემის სანატორიუმი), ფიზიოსამკურნალო, ექვსი ბავშვთა სანატორიუმი და სხვა საზოგადოებრივი სამკურნალო ობიექტი.

სანატორიუმი „ფირუზა“.

* * *

დამსვენებელთა უკეთ მომსახურების მიზნით ბორჯომის კურორტთა სამმართველოს სოფელ ციხისჯვარში მოწყობილი აქვს მეცხოველეობის დამხმარე მეურნეობა, ხოლო ხაშურის რაიონში მებოსტნეობის მეურნეობა.

ბორჯომის კეთილმოწყობისათვის ბორჯომის საქალაქო საბჭოს აღმასკომი წელს გაცილებით მეტ თანხებს დახარჯავს, ვიდრე შარშან იყო გათვალისწინებული. თბილი ამინდების დადგომისთანავე საქალაქო საბჭოს აღმასკომმა და მისმა სარემონტო-სამშენებლო კანტორამ ენერგიული მუშაობა გააჩაღეს ქალაქის მოედნებისა და ქუჩების კეთილმოწყობისათვის. კიროვის ქუჩაზე ჩქარი ტემპით წარმოებს მტკვრის მარცხენა ნაპირზე 70 მეტრი სიგრძის საყრდენი კედლის ამოყვანა, მისი დამთავრების შემდეგ ოთხი მეტრით გაფართოვდება ეს ქუჩა. განზრახულია იქვე პავლოვის მოწყობა. საყრდენი კედლების ამოყვანა წარმოებს გოგიასციხესთან და ლენინის ქუჩაზეც. მიმდინარეობს ჯაფარიძის ქუჩის მოკირწყვლა, ბორჯომის ქუჩაზე 500 კვადრატულ მეტრზე დაიგო ასფალტი.

უნდა აღინიშნოს, რომ ბორჯომის კეთილმოწყობის საქმეში ქალაქის საბჭოს აღმასკომის სარემონტო-სამშენებლო კანტორას აქვს ხელისშემშლელი მიზეზებიც. კანტორამ დაპირების თანახმად კომუნალური მეურნეობის სამინისტროდან უნდა მიიღოს სამი თვითსაცლელი ავტომანქანა. ეს დაპირება სამინისტრომ დროზე უნდა შეასრულოს. სბბურავების უქონლობის გამო ხშირად მომცდარია კანტორის განკარგულებაში მყოფი ოთხი ავტომანქანა.

სერიოზული ნაკლია ისიც, რომ კურორტთა სამმართველო უყურადღებას არ აქცევს პლატოს დასასვენებელ სახლში მისასვლელი საავტომობილო გზის კეთილმოწყობას, რაც დიდად აძნელებს მანქანების მოძრაობას. მართალია ამ მიზნით წელს გათვალისწინებულია 300 ათასი მანეთის დახარჯვა, მაგრამ სამუშაოები ჯერაც არ დაწყებულა და, ცხადია, გზის კეთილმოწყობა მიმდინარე სეზონში ვერც კი მოესწრება.

დამსვენებელთა უკეთ მომსახურებისათვის კარგად არის მომზადებული ბორჯომის პურკომბინატი და მეხი ქსელი, მაგრამ რაიკოოპერატივისა და კურორტავტრობის ბორჯომის განყოფილების ზოგიერთი სასადილო და ხასურსათო მაღაზია თავის დანიშნულებას მთლიანად ვერ ამართლებს. ამას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

საზაფხულო სეზონის დაწყებამდე ცოტა დრო დარჩა. ეს დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. შეგვმნათ ყველა პირობა მოაგვარაკეთა ნორმალური დასვენებისა და მკურნალობისათვის.

ვ. გურგენიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ბოლნისის რაიონში

ერთ-ერთი კეთილმოწყობილი ხდება ადგილ-ბოლნისი

სულ უფრო კეთილმოწყობილი ხდება რაიონის ცენტრი — დაბა ბოლნისი. უკანასკნელ ხანებში ქუჩებსა და ტროტუარებზე 14 ათასი კვადრატული მეტრი ასფალტი დაიგო. ლენინის ქუჩის მთელ სიგრძეზე მოწყობილია ტროტუარები და დაგებულია 13 ათასი კვადრატული მეტრი ასფალტი. გარდა ამისა, დაბაში გაშენდა კულტურისა და დასვენების ახალი პარკი, რომელსაც 3,8 ჰექტარი უჭირავს. პარკი მთლიანად შემოიღობა და დაირგო 3.600 ძირი სხვადასხვა მცენარე. პარკის გამწვანება გრძელდება.

ადგილობრივი მრეწველობის კომბინატში

ადგილობრივი მრეწველობის კომბინატმა გასულ წელს მოაწყო ქალაღაიებისა და რკინის საწოლების საამქროები, რომლებიც ყოველთვიურად ადგილობრივი მოსახლეობისათვის 10 ათასი მანეთის პროდუქციას უშვებენ. რაიონში ხეხილისა და კენკროვანი კულტურების სიუხვე იაფფასიან ნედლეულს იძლევა ხილ-კენკრის ღვინის წარმოებისათვის. გასული წლის მოსავლიდან ახლად მოწყობილ ღვინის საამქროში დამზადდა 1.600 ათასი მანეთის შემაგრებული ტიპის ღვინო, რომელიც გაიგზავნა ჩვენი ქვეყნის სამრეწველო ცენტრებში.

სოფლის რადიოფიკაცია

სოფელ ფახრალოში უკანასკნელ წლებში აშენდა საშუალო სკოლა, კლუბი, საავადმყოფო და მაღაზიები. წელს კოლმეურნეობამ თავისი სახსრებით მოაწყო რადიოკვანძი, რომელიც უკვე ამუშავდა. რადიოკვანძი მომსახურებას უწევს 600 კოლმეურნის ოჯახს. რადიოფიცირებულია აგრეთვე კლუბი, საავადმყოფო, სკოლა და კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმები.

ფართოვდება სავაჭრო ობიექტების ქსელი

რაიონის ცენტრში წელს დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი ორსართულიანი შენობა, რომლის პირველ სართულში მოთავსდა კულტსაქონლის მაღაზია, ხოლო მეორე სართულზე — კაფე-საჰაიე. შენდება ახალი შენობა რკინა-კაკვულის მაღაზიისათვის. რაიკავშირმა მოაწყო ქართული პურის საცხობი თორნე, რომელიც ყოველდღიურად 1 ტონამდე პურს აცხობს. მალე დაიწყება ახალი პურის საცხობის მშენებლობა, სადაც ყველა სამუშაო პროცესი მექანიზებული იქნება.

რ. დავითური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ხელოვნების ამბები

ოპერა „დაისის“ ახალი დადგმა

28 აპრილს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანმა სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს უჩვენა ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისის“ ახალი დადგმა, რომელიც გათვალისწინებულია მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე საჩვენებლად.

ოპერა „დაისი“ წარმოდგენილ იქნა ახალი რეჟისორული გეგმითა და გადაწყვეტით (დამდგმელი თეატრის მთავარი რეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. ტაბლაშვილი), ახალი მხატვრული გაფორმებით (მხატვარი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი ი. სუმბათაშვილი), აგრეთვე რამდენიმე ახალი შემსრულებლის მონაწილეობით და ორკესტრისა და გუნდის გაძლიერებული შემადგენლობით.

ოპერას დირიჟორობს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი დ. მირცხულავა, ცეკვების დადგმა განახორციელა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ი. სუხიშვილმა, მთავარი ხორმეისტერია რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ე. ტერიშვილი.

პარტიებს ასრულებდნენ ლ. ჭყონია (მარო), ზ. ანჯაფარიძე (მალხაზი), შ. კიკნაძე (ციაზო), ა. მურადოვა (ნანო), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვ. ხამაშურიძე (ცანგალა), გ. ტორონჯაძე (ტიტო), ვ. კანდელაკი (ბოხუცი). ცეკვებში მონაწილეობდნენ ნ. ჩახუნაშვილი, ვ. გუნაშვილი, ა. ძნელაძე, გ. ტაბახმელაშვილი, შ. ჩიჩაძე და სხვ.

მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში

თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართულმა თეატრმა მორიგ პრემიერად ამ დღეებში მაყურებელს უჩვენა ვ. ლიუბიმოვის პიესა „სახიფათო მოჯანასთან“ (თარგმანი ნ. ახალაძისა).

სპექტაკლის დადგმა განახორციელეს რეჟისორმა კ. სურმავამ, მხატვარმა შ. ყორეოლაძემ, კომპოზიტორმა ტ. ბაკრაძემ და ქორეოგრაფმა ი. ზარეცკიმ.

მონაწილეობენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ი. დონაური, ა. კაჭკაჭეშვილი და ვ. არეშიძე, მსახიობები გ. რევაზიშვილი, ლ. ძიგრაშვილი, რ. თავართქილაძე, თ. ფარცხალაძე, ნ. ნარსია, ს. გაბისონია, ც. ქიტიაშვილი, ვ. ივანიძე, ა. კიკალეიშვილი, რ. ხუციშვილი, ე. ჩაჩავა და სხვ.

„საგყეო პროდუქციის ფაქსაციის ცნობარი“

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გამომცემლობამ რუსულ ენაზე გამოუშვა გ. ზ. ყუფარაძის „სატყეო პროდუქციის ტაქსაციის ცნობარი“. წიგნი, რომლის რედაქტორია ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა სრულიად საკავშირო აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ნ. ბ. ანუჩინი, განკუთვნილია ხე-ტყის დამამზადებელი, ხისდამუშავებელი და ხე-ტყის სავაჭრო საწარმოებისათვის, აგრეთვე შეიძლება გამოყენებულ იქნას დამხმარე სახელმძღვანელოდ შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის.

წიგნი, რომლის ტირაჟი 30.000 ეგზემპლარი, ჩასმულია ლამაზად გაფორმებულ მაგარ ყდაში და ღირს 25 მანეთი.

საბჭოთა მთავრობის ნოტა
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობისადმი

1957 წლის 27 აპრილს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მიიღო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ბ-ნი გ. ნორტე და გადასცა მას შემდეგი შინაარსის ნოტა:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობას საჭიროდ მიაჩნია მიმართოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შემდეგ საკითხზე.

უკანასკნელ ხანს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლებმა გააკეთეს მთელი რიგი განცხადებანი, რომლებიდანაც გამომდინარეობს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა აპირებს შეუდგეს დასავლეთ გერმანიის არმიის შეიარაღებას ატომური იარაღით. ასეთი ნაბიჯის მეტად საშიშ ხასიათს ზრდის კიდევ ის, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორია დათმობილია დასავლეთის სახელმწიფოების კუთვნილი ატომგულის იარაღის განსალაგებლად.

დასავლეთის სახელმწიფოთა მიერ სხვადასხვა სახეობის ატომგულის იარაღის თავმოყრა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე და მზადება დასავლეთ გერმანიის არმიის ატომური იარაღით აღჭურვისათვის იმას იწვევს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა გადაიქცეს ევროპის მთავარ პლაცდარმად და ნატოს ძირითად დამკვრელ ძალად ევროპაში ატომური ომის წარმოებისათვის.

ადვილი გასაგებია, რომ მთელი ეს ღონისძიებანი იწვევენ ხალხებისა და უწინარეს ყოვლისა ევროპის ხალხების შეშფოთებას. ამ შეშფოთებას იზიარებს ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობაც, რასაც მოწმობს ის ფაქტი, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ატომური შეიარაღებისა და მის ტერიტორიაზე უცხოეთის ატომგულის იარაღის განლაგების წინააღმდეგ აღიშვრნენ ფედერაციული რესპუბლიკის დიდი პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები. ძნელი არ არის დავრწმუნდეთ, როგორ საფუძვლიანია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობის შეშფოთება, თუ წარმოვიგენთ იმ შედეგებს, რომლებიც მოჰყვებოდა ატომური ომის პირდაპირ მზადებაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩართვას გეგმების რეალიზაციას გერმანელი ხალხისათვის, გერმანიის მეზობლებისათვის, მთლიანად ევროპისათვის.

არავითარი ეჭვი არ არის, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის — ევროპის იმ ერთადერთი სახელმწიფოს არმიის ატომური იარაღით შეიარაღება, რომლის მთავრობაც მოითხოვს ევროპაში ამჟამად არსებული საზღვრების გადასინჯვას, — მკვეთრად გააძლიერებდა საერთაშორისო დაძაბულობას ჩვენს კონტინენტზე და გამოიწვევდა ომის საფრთხის გამწვავებას. საფრთხეში აღმოჩნდებოდა გერმანიის მეზობელ სახელმწიფოთა უშიშროება. ადვილი წარმოსადგენია, როგორ მოეპყრობოდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ატომურ შეიარაღებას ეს სახელმწიფოები, რომლებსაც წარსულში არაერთგზის განუცდიათ გერმანიის თავდასხმა. ბუნებრივია, რომ ევროპის ეს სახელმწიფოები იძულებული იქნებოდნენ საპასუხოდ მიეღოთ შესაბამისი ღონისძიებანი თავიანთი თავდაცვის განსამტკიცებლად.

ამრიგად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა თავისი მოქმედებით გააჩაღებდა გამალებულ ატომურ შეიარაღებას ევროპაში.

ნათქვამიდან ჩანს, თუ რა საბედისწერო პასუხისმგებლობას კისრულობენ ისინი, ვისაც დღეს საქმე მიჰყავს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ატომურ შეიარაღებამდე.

არ შეიძლება აგრეთვე არ დავეთანხმოთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იმ წრეების აზრს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ იმ ვითარებაში, როცა სახელმწიფოებს შორის წარმოებს მოლაპარაკება განიარაღების საკითხზე, დასავლეთ გერმანიის შემდგომი მილიტარიზაციის კურსი და მისი არმიის აღჭურვა ატომური იარაღით პრაქტიკულად ნიშნავს ცდილ ხელი შეუშალონ განიარაღების შესახებ შეთანხმების მიღწევას.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ატომური შეიარაღების პოლიტიკას ზოგჯერ იმით ასაბუთებენ, თითქოს ეს საჭირო იყოს იმ ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფისათვის. მაგრამ ასეთ მტკიცებას ნამდვილ ვითარებასთან საერთო არა აქვს რა.

ნაცვლად იმისა, რომ მიიღონ ღონისძიებანი საერთაშორისო დაძაბულობის შესანელებლად და ხელი შეუწყონ განიარაღებისა და მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვის შესახებ შეთანხმების მიღწევას, ცდილობენ უზრუნველყონ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უშიშროება „ძალის პოლიტიკის“ საფუძველზე. ამავე დროს დასავლეთ გერმანიის არმიის ატომური იარაღით აღჭურვას და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიის გადაქცევას ამერიკის ატომგულის ყუმბარების სასტარტო მოედნად არა თუ არ მოჰყვება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უშიშროების განმტკიცება, არამედ, პირიქით, ეს ფედერაციულ რესპუბლიკას და მის მოსახლეობას უქმნის საშინელ საფრთხეს, რომელსაც ოდნავაც ვერ შეედრება ის უბედურება, რაც გერმანელ ხალხს ოდესმე გადაუტანია წარსულში.

დღემდე, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 12 წლის შემდეგ, გერმანაში ჯერ კიდევ არ არის მოშუშებული ომით მიყენებული ჭრილობები. მრავალი ნანგრევები გერმანიის ბევრ ქალაქში გადატანილი კატასტროფის ცოცხალი დადასტურებაა. მაგრამ წარსულ ომში იყენებდნენ მხოლოდ ჩვეულებრივ შეიარაღებას. ამავე დროს, სავსებით ცხადია, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიის გადაქცევა ნატოს ატომურ ბაზად იმას გამოიწვევს, რომ ომის დაწყების შემთხვევაში დასავლეთი გერმანია დაუყოვნებლივ გადაიქცევა საპასუხო დარტყმის ობიექტად ყველა სახეობის თანამედროვე იარაღის, მათ შორის რაკეტული იარაღის გამოყენებით. საჭირო არ არის დაწვრილებით ლაპარაკი იმაზე, თუ რა შედეგები ექნებოდა ამას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობისა და ეკონომიკისათვის, სადაც არის ისეთი ხშირი მოსახლეობა და სამრეწველო საწარმოთა კონცენტრაცია, რომ ამ ქვეყნის საარსებოდ დიდძნშვნელოვანი ცენტრები შეიძლება პარალიზებულ იქნას ერთი თანამედროვე წყალბადის ბომბის მოქმედებით.

ცხადია ისიც, რომ ვერავითარი დახმარება გარედან, რომლის შესახებ ლაპარაკით თავის გამხნევებას ცდილობენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ატომური შეიარაღების მომხრენი, ვერ გადაარჩენდა ფედერაციულ რესპუბლიკას ამ მძიმე შედეგებისაგან. მართლაც, რა სარგებლობას მოუტანდა ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობას ასეთი დახმარება, კიდევაც რომ გაეწიათ იგი? ძნელი არ არის იმის წარმოდგენა, რომ თუ სამე ატომგულის იარაღის გამოყენებამდე მივიდოდა, დასავლეთი გერმანია, რომლის ტერიტორიის გარდუვალად დაატყდებოდა თავს ასეთი იარაღის ყველაზე ძლიერი და კონცენტრირებული დარტყმები, მთლიან სასაფლოდ გადაიქცეოდა. ატომური და წყალბადის იარაღის, როგორც მასობრივი მოსპობის იარაღის, ხასიათი ისეთია, რომ გარედან დახმარების მიღების ყოველგვარ ასეთ ვარაუდს ატომური ომის პირობებში არავითარი ნიადაგი არა აქვს. განა ცხადი არ არის, რომ ამ გარემოებათა გათვალისწინებით უმჯობესი იქნებოდა „გარედან დახმარებაზე“ ლაპარაკის ნაცვლად კეთილგონიერების გამოჩენა და ცეცხლთან თამაშის შეწყვეტა.

საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია ხაზგასმით აღნიშნოს, რომ დიდი შეცდომა იქნებოდა ეს მისი განცხადება მიეჩნიათ ფედერაციული რესპუბლიკისადმი დამუქრების ცდად. საბჭოთა მთავრობის პოლიტიკისათვის არაფერი არ შეიძლება იყოს იმაზე უფრო უცხო, ვიდრე მუქარისა და დაშინების მეთოდების გამოყენებაა. საბჭოთა მთავრობა მთელი კატეგორიულობით აცხადებს, რომ მისი ეს მიმართვა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობისადმი, ისევე როგორც წინანდელი მიმართვები, ნაკარნახევია არა ვინმეს დაშინების სურვილით, არამედ ერთადერთი სურვილით — მიაქცევინოს ყურადღება იმ ვითარებისადმი, რომელიც ამჟამად ევროპაში ნამდვილად იქმნება.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის მთავარი პრინციპია ყველა სახელმწიფოსთან მშვიდობიანი თანაარსებობისა და მეგობრული თანამშრომლობის პრინციპი სუვერენიტეტის ურთიერთ პატივისცემისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის საფუძველზე. სსრ კავშირის მთავრობა ამ პრინციპს იცავს თავის ურთიერთობაში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან. მაგრამ რამდენადაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა დგამს ისეთ ნაბიჯებს, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ევროპის ხალხთა მშვიდობასა და უშიშროებას, საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია სრული გულახდილობით განაცხადოს იმ საფრთხის შესახებ, რომლისკენაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა მიდის ატომური შეიარაღების გზაზე დადგომით. დასავლეთ გერმანიის მოღვაწეები, რომლებიც ილაშქრებენ ბუნდესვერის ატომური შეიარაღების წინააღმდეგ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ატომური იარაღის განლაგებისა და გამოყენების წინააღმდეგ, ტყუილად ხომ არ იძლევიან გაფრთხილებას, რომ ფედერაციული რესპუბლიკისათვის ეს საკითხი არსებითად სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია.

ცნობილია, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის წრეების წარმომადგენლები ლაპარაკობენ ეგრეთწოდებულ „ტაქტიკურ“ ატომურ იარაღზე, რომელიც თითქოს წარმოადგენს მხოლოდ გაუმჯობესებულ არტილერიას და რომლის მიღება შეიარაღებაში თითქოს დაკავშირებული არ არის არავითარ საფრთხესთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისათვის. მაგრამ საკითხის ასეთი დაყენება უეჭველად მოგონილია. შემთხვევით როდი მოგვაგონებენ, რომ თანამედროვე ეგრეთწოდებულ ტაქტიკურ ატომურ იარაღს აქვს ისეთივე დამანგრეველი ძალა, როგორც იმ ატომურ ბომბებს, რომლებიც ჩამოაგდეს იაპონიის ქალაქებში ნაგასაკსა და ხიროსიმაში. არ შეიძლება აგრეთვე ანგარიში არ გაეწიოს იმას, რომ ეგრეთწოდებული ტაქტიკური ატომური იარაღის ამოქმედება გარდუვალად გამოიწვევდა ყველა სხვა სახეობის ატომგულის იარაღის გამოყენებას მისი უდიდესი დამანგრეველი ძალით. ლაპარაკი „ტაქტიკურ“ ატომურ იარაღზე აშკარად ნავარაუდევია იმისათვის, რომ ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობაში დანერგონ ილუზიები იმის შესახებ, რომ შესაძლებელია თავიდან აცილებულ იქნას ატომური ომის მომზადების შედეგები, და დასავლეთ გერმანიის მოსახლეობას შეუქმნან შთაბეჭდილება, თითქოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ატომური შეიარაღება გარდუვალია და თითქოს ბუნებრივ პროცესსაც კი წარმოადგენს.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ შედეგების საკითხსაც, რომლებსაც დასავლეთ გერმანიის არმიის ატომური იარაღით შეიარაღება გამოიწვევდა გერმანიის ეროვნული ერთიანობის აღდგენის საქმისათვის. თუ რემილიტარიზაციის პოლიტიკამ, აგრესიულ სამხედრო ბლოკებში მონაწილეობისა და დემოკრატიულ თავისუფლებათა ჩახშობის პოლიტიკამ, გერმანიანი რეალურად შექმნილი მდგომარეობის უგულებელყოფის პოლიტიკამ, რომელსაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ახორციელებს, სერიოზული დაბრკოლებები შექმნა გერმანიის გაერთიანების გზაზე, ბუნდესვერის ატომური იარაღით შეიარაღება და დასავლეთ გერმანიის გადაქცევა ევროპაში ატომური ომის კერად, გამოუსწორებელ ლახვარს ჩასცემდა გერმანელი ხალხის ეროვნული გაერთიანების საქმეს. განა შეიძლება სერიოზულად ლაპარაკი გერმანიის გაერთიანებაზე, როცა იმ ხაზის გაყოლებით, რომელიც ამჟამად გერმანიას ორ სახელმწიფოდ ჰყოფს, აგებულ იქნება კიდევ ატომური იარაღის ბარიერები.

ბუნდესვერის ატომური შეიარაღების კურსი შეუთავსებელია გერმანიის ერთიანობის აღდგენის საქმესთან, და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ის სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებიც დღეს ამ კურსს ახორციელებენ, ამრიგად კისრულობენ განსაკუთრებით მძიმე პასუხისმგებლობას გერმანელი ხალხის წინაშე.

საბჭოთა მთავრობას აგრეთვე მიაჩნია, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ატომური შეიარაღების პოლიტიკა გარდუვალად იწვევს საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავებას და ეწინააღმდეგება ფედერაციულ რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობის გაუმჯობესების ინტერესებს, რომლისადმი მისწრაფება ორივე მხარემ გამოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ა. ბულგანინსა და ფედერალურ კანცლერს კ. ადენაუერს შორის წერილების ამასწინანდელი გაცვლის დროს.

ითვალისწინებს რა აღნიშნულ გარემოებებს, საბჭოთა მთავრობას თავის მოვალეობად მიაჩნია განაცხადოს, რომ, ახორციელებს რა ატომური შეიარაღებისა და დასავლეთ გერმანიაში ატომური ომისათვის მზადების გაჩაღების პოლიტიკას, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა საფრთხეს უქმნის ევროპის ხალხთა უშიშროებას, ისევე როგორც თვით გერმანელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს.

ფედერალური მთავრობისათვის უეჭველია ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირი დიდ ღონისძიებებს იღებს, რათა მიაღწიოს სახელმწიფოთა შორის შეთანხმებას განიარაღების პრაქტიკულ ღონისძიებათა და ჯანსაღ ურთიერთობათა შესახებ, რომელთა მიზანია ატომური ომის საფრთხის თავიდან აცილება. საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ არც ერთმა სახელმწიფომ არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ გაანძლოს ამ ამოცანის გადაჭრა.

შეიძლება ითქვას, ძნელია ისეთი ქვეყნის პოვნა, რომლის ინტერესები იმდენად მოითხოვდეს განიარაღების და ატომური იარაღის აკრძალვის უსწრაფეს განხორციელებას, როგორც ამას გერმანიის ინტერესები მოითხოვს. ეს ხომ ფაქტია, რომ გერმანიის ტერიტორია დღეს გადაიქცა იმ სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალებისა და საომარი ტექნიკის მშვიდობიანი დროისათვის სრულიად არანორმალური თავმოყრის ადგილად, რომლებიც ამასთან სხვადასხვა სამხედრო დაჯგუფების მონაწილენი არიან. ამის გამო, საბჭოთა მთავრობის აზრით, არ უნდა გადაიდგას არც ერთი ნაბიჯი, რომელიც თუნდაც ოდნავ გაართულებდა დამატებით აღლანდილ მდგომარეობას ევროპის ცენტრში და, პირიქით, საჭიროა მიღებულ იქნას ყოველი ღონისძიება, რათა შენელდეს დაძაბულობა და გაჯანსაღდეს ვითარება ამ რაიონში.

საბჭოთა მთავრობამ, როგორც ცნობილია, დასავლეთის სახელმწიფოებს მიმართა წინადადებით — უკვე წელს ერთი მესამედით შემცირდეს ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირის, ინგლისისა და საფრანგეთის შეიარაღებული ძალები, რომლებიც განლაგებული არიან გერმანიის ტერიტორიაზე. უნდა მოვიხსენიოთ საბჭოთა მთავრობის მეორე წინადადებაც: ლაკვიდირებულ იქნას სამხედრო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზები სხვათა ტერიტორიებზე.

სსრ კავშირის მთავრობა სავსებით უპირს მხარს აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინადადებას, რომ გერმანიის ტერიტორიაზე საერთოდ არ იყოს ატომური იარაღი — არც უცხოური, არც გერმანული. ამ წინადადების განხორციელება გააუმჯობესებდა მთელ პოლიტიკურ ვითარებას ევროპაში და გადაარჩენდა გერმანელ ხალხს ატომური ომის საფრთხისაგან. რაც შეეხება საბჭოთა მთავრობას, იგი მზად არის შეუთანხმდეს დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობებს იმის შესახებ, რომ გერმანიის ტერიტორიაზე განლაგებულ არ იქნას ატომური იარაღი. საჭირო არ არის იმაზე ლაპარაკი, რომ ასეთი შეთანხმების საქმეში წარმატებას ბევრად შეუწყობდა ხელს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის მთავრობის დადებითი დამოკიდებულება ამ წინადადებისადმი.

საბჭოთა მთავრობა დარწმუნებულია, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობასაც, მას რომ ამოცანად დაესახა გაილაშქროს ატომური ომის საფრთხის წინააღმდეგ და ხელი შეუწყოს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, შეეძლო დიდი წვლილი შეეტანა ამ კეთილშობილურ საქმეში. სსრ კავშირის მთავრობა იმედს გამოთქვამს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა სათანადო ყურადღებით განიხილავს ზემოთ ჩამოყალიბებულ მოსაზრებებს.

მოსკოვი, 1957 წლის 27 აპრილი“.

ბ-ნმა ნორტემ განაცხადა, რომ დაუყოვნებლივ აცნობებს ფედერალური რესპუბლიკის მთავრობას გადაცემული ნოტის შინაარსს.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲐᲠᲙᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲑᲐᲦᲔᲑᲘ ᲡᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

გაცხოველებით მიმდინარეობს ხეზონისათვის მოსამზადებელი სამუშაოები თბილისის კულტურისა და დასვენების პარკებსა და ბაღლებში, სადაც ათეულ ათასობით მშრომელი გაატარებს ზაფხულის ცხელ დღეებს. პარკების კარი საპრეზიდენტოდ გაიღება დამსვენებელთათვის, რომლებსაც აქ დახვდებათ ბევრი საინტერესო გასართობი. მოეწყობა მასობრივი სეირნობანი.

კარგად ემზადება ხეზონისათვის ი. ბ. სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი ფუნიკულერის პლატოზე. პარკსა და ა.ჯ.ერის გზატეცილზე დაიგო 5 ათასი ძირი ხუთწლიანი ხე, ხოლო ხეხილის ბაღში 1.200 ძირი მსხმოიარე ვაშლის, მსხლის, ატმის, ბლის, ქლიავის ხეები და სხვა მცენარეები. დაირგვება ორასი ათასი ძირი ყვავილი.

პარკში ჩატარდა ყველა ნაგებობის — საზაფხულო კინოთეატრის, ატრაქციონების და სხვ. კაპიტალური შეკეთება. ცენტრალურ ხეივანში გაკეთდა ბაზალტის ქვის ახალი მხატვრული კიბე.

პატარა დამსვენებლების მომსახურების მიზნით სახავშვო მოედანზე ცოცხალი კუთხისათვის აიგო ვოლიერები, სადაც ეყოლებათ ფარშავანგები, ცცერები, იადონები, თუთიყუშები, კურდღლები.

შაბათობითა და კვირაობით ლენინის მოდინდან კოჯრის გზატეცილით ფუნიკულერის პლატომდე იმუშავებს ათი ავტობუსი, ხოლო სხვა დღეებში — ორი.

240 ჰექტარი ფართობი უკავია კულტურისა და დასვენების ვაკის ახალ პარკს. მოსაწონია პარკის დეკორაციული გაფორმება, საუცხოოდ განლაგებული ხეივნები, ბილიკები, გაზონები, შადრევნები, მხატვრულად გაფორმებული კიბეები. სადი ჰაერი, გრილი ნიავი, რომელიც მუდამ ქრის წყნეთიდან, ნამდვილ დასვენების კერად ხდის ამ ადგილს. აქ დარგულია ორასი ათასი ძირი ხე და ბუჩქი, უამრავი ვარდი და სხვა ყვავილები.

პარკში აშენდა ახალი კინოსტრადა 1.100 მაყურებლისათვის, მუსიკალური ნიჟარა საცეკვაო მოედნით, ცენტრალურ ადგილას გაკეთდა დიდი შადრევანი, რომელიც მოპირკეთდება გრანიტის ქვით, აგრეთვე რამდენიმე პატარა შადრევანი, მზადდება სპორტული და სახავშვო მოედნები, კეთდება ატრაქციონები — კარუსელი, საქანელა, სერსონ, ჯიბეთა ჰიდილი და სხვ. იდგმება ახალი სკამები, ლამპიონები და პროჟექტორები, წარმოიგმება პარკის რადიოფიკაცია, გაყვანილია ახალი წყალსადენი, დაიდგა სასმელი წყლის რამდენიმე შადრევანი, პარკის რამდენიმე ადგილას გამაგრილებელი სასმელებისათვის დაიდგა 6 პავილიონი.

თბილისელთა საყვარელი ადგილია ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი, რომელსაც დამსვენებელთა მომსახურების კარგი ტრადიცია აქვს. იგი წელსაც კარგად ემზადება ხეზონისათვის. კაპიტალურად შეკეთდა ათასი მაყურებლისათვის გათვლილნენებული საზაფხულო კინოთეატრი, სადაც ახალი კინოაპარატურა დაიდგა, პლანეტარიუმის შენობა, საზაფხულო თეატრი, ორი დიდი საზაფხულო ესტრადა, ბიბლიოთეკა, ბიბლიოთეკა-პავილიონი, პარაშუტის კოშკურა, კარუსელი და სხვ. პარკის ხეივრებს გაუკეთდა მხატვრული ლობე. ეწყობა სიცილის ოთახი, აიგო ახალი ტირი, რომელიც ზამთარშიც იმუშავებს. პარკის სასათბურე მეურნეობიდან გადმოირგვება ორასი ათასი ძირი ყვავილი, გარდა ამისა აქ დაირგო ახალი დეკორაციული ბუჩქები და ხეები, რომლებიც ჩამოიტანეს ბათუმიდან, 13-14-წლიანი ჩაის ვარდები. ახალი ბორდიურებისათვის დიღმის სანერგიდან მიიღეს 1.500 ძირი ტუია, დაირგო ფოთლოვანი მცენარეები. გაკეთდება ყვავილების კალენდარი, რომელიც აჩვენებს წელს, თვესა და რიცხვს.

დიდი მუშაობა მიმდინარეობს აგრეთვე კიროვის სახელობის პარკში, 26 კომისრის ბაღში და ქალაქის სხვა ბაღებსა და სკვერებში.

წელს უკეთ ემზადება ახალი ხეზონისათვის ლისის ტბის კულტურისა და დასვენების პარკი. ტერიტორია განთავსებული და რადიოფიცირებულია, აიგო სამკითხველო და საბილიარდო დარბაზი, შეკეთდა შენობები და ნაგებობანი, შეძენილ იქნა პარკისათვის 30 სკამი, ტბის სანაოსნო მეურნეობა შეივსო კატერებითა და მოტორიანი ნავებით, კეთდება მისასვლელი გზები. ამჟამად მუშაობენ წყალსადენის გასაყვანად, მიმდინარეობს ტბის სანაპიროს გამაგრება ლამაზი მოაჯირით.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ტრანსპორტით მომსახურების საკითხი კვლავ მოუგვარებელია. საჭიროა სათანადო ორგანიზაციებმა ამთავითვე მიიღონ ზომები იმისათვის, რომ მთელი ხეზონის განმავლობაში ავტობუსები რეგულარულად უწევდნენ მომსახურებას ლისის ტბაზე მიმავალთ.

Ე. მამალაძე.

* * *

სურათზე: ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში.

ფოტო შ. გოკაძისა.

ᲖᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲨᲘ

მალე შეჯამებულ იქნება სსრ კავშირის XXV საჭადრაკო ჩემპიონატის თბილისის ზონალური შეჯიბრების შედეგები, გამოვლინდებიან ნახევარფინალურ ასპარეზობაში მონაწილენი.

28 აპრილს თბილისის რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა მეთექვსმეტე ტური. საერთაშორისო ოსტატის არონინისა და ბუსლაევის პარტია არონინის მორიგი გამარჯვებით დამთავრდა. ბაგიროვმა მოუგო ნაფტალინს, კალაშიანმა — ყუხოვიცკის, ბლაგიძემ — ჰალილბეილის, ბაილემ — შიშოვს, დემურიამ — მნაცაკანიანს. სარდაროვ-კოკიანისა და გიტერმან-ტიიმანოვის პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

16 ტურის შემდეგ ზონალური შეჯიბრების ლიდერია ტაიმანოვი, რომელსაც 14 ქულა აქვს. არონინს შეგროვილი აქვს 12,5 ქულა, ბლაგიძეს, ყუხოვიცკის, ბაგიროვსა და მნაცაკანიანს — ცხრანახევარ-ცხრანახევარი ქულა.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ
თბილისის გარნიზონის მკვიდრთადმი
№ 14
1957 წლის 30 აპრილი ქ. თბილისი

1957 ᲬᲚᲘᲡ 1 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲞᲐᲠᲐᲓᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

§ 1

1957 წლის 1 მაისს, მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულის დღეს, რუსთაველის პროსპექტზე დილის 9 საათზე მოსკოვის დროით დანიშნულია თბილისის გარნიზონის ჯარების პარადი.

პარადს მიიღებს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი არმიის **გენერალი ი. ი. ფედიუნინსკი.**

ჯარების პარადის სარდლობა ნაბრძანები მაქვს მე.

§ 2

პარადზე გამოყვანილ იქნან სამხედრო სასწავლებლები და ჯარის ნაწილები განსაკუთრებული გეგმის მიხედვით.

რუსთაველის პროსპექტზე ჯარების დაწყობა დამთავრდეს 8 საათსა და 30 წუთზე.

ტანსაცმლის ფორმა საზაფხულო, საპარადოა.

§ 3

თბილისის გარნიზონის კომენდანტმა პოლკოვნიკმა **ი. ტ. მაკუშევმა** მისცეს საარტილერიო სალუტი ჩემი მითითებების თანახმად.

§ 4

რუსთაველის პროსპექტზე ჯარების დაწყობისა და გავლის დროს წესრიგის დაცვის საერთო ხელმძღვანელობას ვაკისრებ გარნიზონის კომენდანტს პოლკოვნიკ **ი. ტ. მაკუშევს.**

თბილისის გარნიზონის უფროსი,
სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტი
ᲝᲠᲘᲝᲚᲘ.

ᲥᲐᲠᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲝ ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘ 1 ᲓᲐ 2 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ

1 მაისს ქალაქ თბილისის ტრამვაი მუშაობს დილის 5 საათიდან დილის 7 საათსა და 30 წუთამდე (№ 3, 6, 7, 8, 9, 10, 11, 13 და 15 მარშრუტებზე იმუშავებს დილის 8 საათამდე) და განაახლებს მუშაობას დღის 12 საათზე, გარდა 1, 2, 5 და 5-ა მარშრუტების მატარებლებისა, რომლებიც იწყებენ მოძრაობას მშრომელთა დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ.

ტროლეიბუსები და ავტობუსები იმუშავებენ დილის 5 საათიდან დილის 7 საათსა და 30 წუთამდე და განაახლებენ მუშაობას მშრომელთა დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ.

მე-9 მარშრუტის ტროლეიბუსი იმუშავებს ახალი მაგისტრალის (ვარაზისხევის ქუჩის) გაყოლით.

დემონსტრაციის დროს თბილისი — მცხეთა, თბილისი — ზაპესი და თბილისი — ბულაჩაურის ავტობუსების გაჩერებები გადატანილ იქნება გმირთა მოედანზე, თბილისი — რუსთავისა და თბილისი — სოფლელოის ავტობუსების გაჩერებები — ბალნეოლოგიურ კურორტთან.

მე-2 და მე-14 მარშრუტების ავტობუსები იმუშავებენ საბურთალოს აგურის ქარხნიდან და ვეძისიდან გმირთა მოედნამდე, ტროლეიბუსები კი საბოლოო სადგურ ორთაჭალიდან მეტეხის ხიდამდე.

ტრამვაი-ტროლეიბუსები და ავტობუსები იმუშავებენ ღამის 2 საათამდე.

2 მაისს ქალაქის სამგზავრო ტრანსპორტი იმუშავებს ჩვეულებრივი განრიგით. მსუბუქ ტაქსები 1 და 2 მაისს იმუშავებენ დღეღამის განმავლობაში.

რედაქტორი Გ. ᲨᲘᲠᲪᲮᲐᲚᲐᲕᲐ.

კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი

სამშაბათს, 30 აპრილს, და ოთხშაბათს, 1 მაისს

პრემიერა

უ. შექსპირი

ᲠᲘᲩᲐᲠᲓ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

ტრაგედია 4 მოქმედებად. თარგმანი **ივ. მაჩაბლისა,** დადგმა **ვ. ყუშიტაშვილისა,** ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მხატვარი **ი. ხუმბათაშვილი,** ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი, კომპოზიტორი — **კ. მელვინეთუხუცესი,** ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

22 აპრილს შეძენილი ბილეთები ვარგისია 1 მაისისათვის.

ᲢᲔᲚᲔᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐᲗᲐ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ
30 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

20.00 — კინოჟურნალი „საბჭოთა საქართველო“ № 14. 20.15 — მხატვრული ფილმი „ორი ოკეანის საიდუმლოება“ (პირველი და მეორე სერია).

მეუღლე მარიამ, შვილები თამარ, სევერიანე ოჯახებით იუწყებიან

ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲡᲔᲕᲔᲠᲘᲐᲜᲔᲡ-ᲫᲔ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲘᲡ

გარდაცვალებას. პანაშვიდი 3-V, 8 ს. გამოსვენება 4-V, 5 ს. კამოს ქ. № 19.

და ლიზა ოჯახით, რძალი ნინო ოდიშვილი შვილით იუწყებიან

ᲡᲝᲤᲝᲛᲝ ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲡ ᲐᲡᲣᲚ ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ

გარდაცვალებას. პანაშვიდი 1-V, 8 ს. გამოსვენება 2-V, 5 ს. ორჯონიკიძის ქ. № 37.

შვილები ვერა, მარგო, თამარ, გალაქტიონ, შალვა, რძლები ვერა, შურა, ლენა, სიძეები შ. ტაბიძე, ნ. მაჭავარიანი შვილებით იუწყებიან

ᲛᲔᲚᲐᲜᲘᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲐᲡᲣᲚ ᲢᲕᲘᲚᲓᲘᲐᲜᲘᲡ

გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-IV, 6 ს. ცაგერში.

საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობისა და პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ კოლექტივი იუწყება

ᲗᲔᲜᲖᲘᲜ ᲨᲐᲚᲕᲐᲡ-ᲫᲔ ᲮᲝᲮᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ

გარდაცვალებას.

შვილები თამარ, კარლო, ოთარ, და თებრო, ძმა გიორგი, რძალი გულნარა შვილით იუწყებიან

**ᲝᲚᲦᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲡ ᲐᲡᲣᲚ